# საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან. სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. სამი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ ნაწილად გადახდა. 6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კანტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და სად. 5—7 ს. უქმე-დღეებში კანტორა დაკეტილია.
კანტორის ტელეფ. 15—73.

ყოველდღიური გაზეთი | პარასკევი, იანვრის 30 1920 წ. № 21 | ფასი 4 მან.



**ა პ ო ლ ო** პირველად თბილისის ეკრანზე ახალი მხატვრული დადგმა

# ლაქია

ღრმა ფსიქ. კინო-დრამა

გუხოვეცკის სცენარიით.

იქიას როლში ავტორი

**კინო პალასი** პირველად გადაღებული თბილისში საქქ. საზ.-ბა „ფილმა“-ს მიერ

# თავმოკვეთილი გვამი

კინოდრამა 6 ნაწილად სამოსამართლო ქრონიკიდან.

მთავარ როლებში პ. კაშევსკი და ლუი ზუფალო

ა. დავიდოვასა, მ. ანენსკის, ა. ტრიგო და ბ. კოვონცის მონაწილეობით.

მუსიკა ილლიუსტრ. ი. ხუდადოვისა.

**კინო-თეატრი ფილმა** (როლას ქუჩა № 3.) ახალი დიდი პროგრამა

# „ტრაგიული ღამე“

დრამა 4 ნაწილად.

გვარდიის დღე თბილისში „12 ქრისტ. 1919 წ.“

ცახეგზე ნადირობა. პრენსის წვერი

მხიარული კომედია.

უბედური შამა ივანე, ღრმად დამწუხრებულნი და გულ დამწვარი ძმები გიორგი და ვასილ, დები: მარგარიტა, ანასტასია და პელაგია, სიძე ალექსანდრე ჩიჩუა და მეუღლე მისი ლიზა კაჭარავას ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მოყვარეთ, რომ ულმობელმა სიკვდილმა გამოგვტაცა ჩვენი ძვირფასი და სასოება

**ნინო (მინიკო) კაჭარავას ასული,**

ხუთშაბათს დღის 4 ზე, 29 იანვარს დანიშნულია გამოსვენება თბილისიდან ახალსენაკში. პარასკევს ახალსენაკში იქნება გადახდილი პანაშვიდი, შემდეგ დასაფლავება მოხდება სენაკის დიდათა მონასტრის სასაფლაოზე. აქ თბილისში გამოსვენებამდე პანაშვიდი ყოველ დღე 4 საათიდან. (გრიბოედოვის ქუჩა, № 5, საკუთარი სახლი).
2762 3 3

ანუსია გიორგის ასული დეკანოსიძისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 31 იანვარს (ახალი სტილი) დაბა ხარაგოულში მის დაუვიწყარ ქმრის

**რომ ნოე დეკანოსიძის**

გარდაცვალების წლის თავზე დანიშნულია წირვა და პანაშვიდი.
2771 1—1

## სახელმწიფო თეატრი

ცვლახიშვილის ხელმძღვანელობით.

დღეს, იანვრის 30 ს

# ჩერევიჩკი

## ქართული კლუბი

შაბათს, იანვრის 31-ს

ს ა ო ჯ ა ხ ო ს ა ღ ა მ ო

რუსულ დრამა „ტარტოს“ მიერ წარმოდგენილ იქნება:

# საბრალო ფედია

მხიარული კომედია 2 მოქ.

# დიდი კონცერტი

ქ.ქ. ალეშკო, ზელიონაია, იანსი; ბ.ბ. პოლიაევი, როგაჩევსკი.
დასაწყისი საღამოს 9 ნახ. ს. კლუბში შესვლა საზოგადო წესით.
345 3—2



# ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი

(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა“)

ყოველ დღე დღის 11—5 ს. სადილი.

ანგლესკოს რუმინული ორკესტრი

ორშაბათიდან იანვრის 26-დან ახალი პ რ ო გ რ ა მ ა.

1) ჩინეთის ტუში, 2) მუსიკის გაკვეთილები, 3) სათბილობელი, 4) შოპენის ინსცენიროვკა, 5) ალომეიას ვალსი, 6) მეოცე საუკუნის ცეკვა

სტუმრების შეკრება იწყება საღამოს 10 საათზე.

რეჟისორი ლეო გალი — კონფერანსიე ნეჩაევი

# გზათა დეპარტამენტი

ამით აცხადებს, რომ თანახმად მთავრობის წ. წ. 18 დეკემბრის დადგენილებისა განზრახულია

## ტყიბულის ქვანახშირის გასაღება

გადაეცეს სააგენტოს, რომელსაც ქვანახშირი დაეთმობა კერძო პირებზე გასაყიდათ დაწესებულ ფასებზე განსაზღვრული პროცენტების დაკლებით. საagენტო ვალდებული იქნება წელიწადში განსაზღვრული minimum-ი ქვანახშირისა გადიტანოს მაღაროებიდან გასაყიდათ და გაჰყიდოს მხოლოდ გზათა დეპარტამენტის მიერ ნებადართულ ფასებში. ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად საგენტო ვალდებული იქნება წარადგინოს ხაზინაში განსაკუთრებული თანხა, რომელიც ხელშეკრულების ვადის გასვლამდე რჩება ხაზინაში. დაწვრილებითი ცნობები და ხელშეკრულობის პროექტის გაცნობა შეიძლება გზათა დეპარტამენტის კანცელარიაში კვირა-უქმე დღეებში 11—12 ს. საქმის დღეებში-კი ნაშუადღევის 2—3 საათამდე.

იმ პირთ, რომელთაც სურთ საჯარო შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება უნდა შეიტანონ სახაზინო რკინის გზის მთავარ კასაში 50.000 მ. და ამის შესახებ კვიტანციასთან ერთად დახურულ კონვერტში ჩადებულ ბარათით წარმოადგინოს თავისი პირობანი გზათა დეპარტამენტის კანცელარიაში ამა წლის 15 თებერვლამდე, რომელ დღესაც მოხდება შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად შეტანილი 50.000 მანეთი უკანვე დაუბრუნდებათ შეჯიბრებაში დამარცხებულთ, ხოლო გამარჯვებულს ჩაეთვლება ხელშეკრულობის უზრუნველ საყოფად ხაზინაში წარსადგენ ფულში.

243 5—2 — გზათა დეპარტამენტი

მიხეილის

# ალკრე

პლეხანოვის ქუჩა, 91.

პარასკევიდან იანვრის 30-ს პირველად თბილისში

# თავადი ფლორენციიდან

კინო-პიესა 3 მოქ.

„ლეოს სიკვდილი დაუგვიანდა“

კომიკური სურათი 1 მოქ.

დასასრულს სანახაობა „მონ-ბლანი“.

დასაწყისი სად. 5 ნახ. საათზე

# ხირომანტი-ასტროლოგი

იგებს: წარსულს, აწმყოს და მომავალს.

დაბადების თარიღით იქ არ მყოფებზედაც ლაპარაკობს.

მიღება 10—3 და 5—8 ს. მისამართი: თეატრალური ქუჩაბანდი, ივანოვის ნომრები, ოთახი № 12.
2765 4—2

## კინემო მინიონი

ბარიათინის ქ. რუსთაველის პრ. კუთხე.

30 და 31 იანვარს

მხატვრული დრამა ... მონაწილეობით.

დასასრულს „3 მგზავრი 1 ...“ კომედია.


# ამერიკა და სოციალიზმი

კაპიტალიზმის ძლიერება ისე არსად არის გამოთქმული, როგორც ამერიკაში. აქ უმწვერვალესს წერტილზეა მისული, როგორც მისი დადებითი, ისე მისი უარყოფითი მხარეები- კაპიტალიზმის შემოქმედებას და საზოგადოთ მის ობიექტიურ სახიერებას, სოციალისტების ენით რომ ვილაპარაკოთ, არც ერთი ქვეყანა ისე არა ჰყავს მომზადებული სოციალიზმის მისაღებად, როგორც ამერიკა. ამავე დროს ამერიკა უაღრესად დემოკრატიული ქვეყანაა, რომელმაც თვისი სახელმწიფოებრივი ცხოვრება ხალხის სუვერენობის პოლიტიკური კონცეპციითა და დემოკრატიული რეჟიმის დამყარებით დაიწყო. ასე რომ, მთელი თანამედროვე ამერიკის ცხოვრება მიმდინარეობს და ვითარდება დემოკრატიზმის ფარგალში. ისე შორს რომ არ წავიდეთ, როგორიც არის მაგალითად ნიუ პლიმუტისა და მასსაჩუზეტის პირველი ახალშენები, რომელთაც მეჩვიდმეტე საუკუნის პირველსავე მეოთხედში შეიმუშავეს წერილობით კონსტიტუცია დემოკრატიულ საფუძველზე და ამერიკის დემოკრატიზმი ჩვენ რომ ამერიკის ცამეტი შტატის შეერთებით დავათარიღოთ, მაშინაც ამერიკის დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ცხოვრება აღირიცხება 100—150 წლით.

ამგვარად, ამერიკამ არ იცის სხვა რეჟიმი, გარდა დემოკრატიულისა, გარდა ხალხის სუვერენობის პრინციპზე აგებულისა.

ამ დემოკრატიულ რეჟიმში მოხდა მისი უმაღლესი ეკონომიური ფორმის —კაპიტალიზმის—თავისუფალი, ხელშეუშლელი განვითარებაც. ამერიკაში მომწიფებულია ორივე პირობა, რომელიც სოციალისტების ვარაუდით, წარმომშობია სოციალიზმის შეგნებისა და მისი აქტიური ლაშქრის. მართლაც, იდეალურად არის შეზავებული ეს ორი მომენტი ამერიკაში. და კარგი ისაა, რომ რამდენადაც იგი იდეალურად არის შეზავებული, იმდენათვე იდეალურად აქარცხებს იგი სოციალისტების პროგნოზს: ამერიკაში სოციალიზმის გავლენა და სოციალისტების ძალა სრულიად შეუმჩნეველი ოდნობაა. ამერიკის არც საგარეო და არც საშინაო სოციალ-ეკონომიური პოლიტიკა მათ ზედმოქმედებას არ განიცდის.

სამაგიეროთ სულ სხვას დავინახავთ, საქართველო და რუსეთი რომ ავიღოთ; რომ სახეში მივიღოთ ამ ქვეყნების, განსაკუთრებით საქართველოს მეტის მეტი ეკონომიური ჩამორჩენა და აბსოლუტურ მონარქიული რეჟიმის ბატონობა, ამ უკანასკნელ დრომდე,— ამ ქვეყნებში, თანახმად იმავე სოციალისტების დასკვნისა, არ უნდა ყოფილიყო არც სოციალიზმისა და არც სოციალისტების დიქტატურა. მაგრამ ეს ორი ქვეყანაც სკანდალურად ამარცხებს სოციალისტების ამგვარ პროგნოზს: როგორც რუსეთში, ისე საქართველოს სოციალიზმის დიქტატურაა, იმ განსხვავებით, რომ რუსეთში უფრო ჟურა სოციალისტები არიან, ვიდრე ჩვენში. ხოლო ჯინაიდან დაბალი და განუვითარებელი ქვეყნის მაგალითი და ფორმა დამაჯერებელ არგუმენტის ძალას თავის დღეში ვერ მოიპოვებს, დემოკრატიულ-ეკონომიურად უაღრესად განვითარებულ ქვეყანასთან შედარებით, ამიტომაც ერთის მხრით რუსეთ-საქართველოს მაგალითი და მეორეს მხრით ამერიკისა ნათლად მოწმობს რომ სოციალიზმის და სოციალისტების დიქტატორული ბატონობა შესაძლებელია მხოლოდ კულტურულად და ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში, იქ სადაც დევნა-შევიწროვების და თვითნებობის თარეშია;—იქ, სადაც საერთო სიზარმაცისა და ჩამორჩენილ ეკონომიურ ფორმის ბატონობის ნიადაგზე საერთო სილატაკეა და სადაც ნამდვილი მოქალაქობრივი განვითარების და ეკონომიური დაწინაურების სადი პრინციპები მთელი სოციალური ცხოვრების მომქმედ საძირკვლად არ არის გარდაქცეული. წართმევის, განადგურების, დარბევის, დაწვის და ერთმანეთის ხოცვის პსიხოლოგია ფეხს ვერ მოიდგამს, სადაც ძლიერია საზოგადოებრიობის შეგნება და ევოლუციური შემოქმედების თვალხილული ნაყოფის სასწაულება. ამიტომაც ევროპამ დაამარცხა და უკუაგდო რუსული ბოლშევიზმი. ამერიკამ კიდევ უფრო მკაცრი და შეუბრალებელი ზომები მიიღო სოციალიზმის სხვა და სხვა ფორმის წინაამდეგ.

ასე მაგალითად, უკანასკნელი ცნობებით, ნიუ-იორკის პარლამენტის თავმჯდომარემ მეტად ცხარე სიტყვა წარმოსთქვა სოციალისტი დეპუტატების წინაამდეგ, აღნიშნა, რომ სოციალისტური მოძღვრების მოქმედება ეწინააღმდეგება ნიუ-იორკისა და საზოგადოთ მთელი ქვეყნის ინტერესებს, რის შემდეგაც პარლამენტმა 40 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 6-ისა დაადგინა, გამორიცხოს თავისი შემადგენლობიდან 5 სოციალისტ-დეპუტატი, რომელნიც პარლამენტიდან სამხედრო ძალის შემწეობით გაიყვანეს, რაკი თავიანთი ნებით არ მიდიოდნენ.

მეორეს მხრით, ამერიკის კონგრესში შეტანილია კანონ-პროექტი, რომლის ძალით უნდა აიკრძალოს ყველა ანტი-საზოგადოებრივი მოძღვრება, როგორიცაა ბოლშევიზმი, ანარქისტული მიმდინარეობა და სხვა. ამ დანაშაულში ბრალდებულს ოცი წლის დატუსაღება მოელის.

ამავე დროს თვით მთავრობა ენერგიულ ზომებს იღებს კომუნისტების წინააღმდეგ. ამ მოძრაობას მეთაურობენ უცხოელები; აღსანიშნავია, რომ კომუნისტური მოძღვრება ფეხს იკიდებს შავ-კანიანებში ამ ამერიკის ძირეულ ბნელ- და გადაგვარების გზაზედ დამდგარ მკვდრებში.

კულტურული, შემოქმედი და ნამდვილად დემოკრატიული ამერიკა კი ენერგიულად ებრძვის სოციალიზმის ყოველგვარ აქტიურ გამოჩენას, რომელიც ამერიკის დემოკრატიის კოლექტიური შეგნების მიერ გამოცხადებულია საზოგადოებრივი ცხოვრების დამრღვევ და გამანადგურებელ მოვლენად და როგორც ესეთი უწყალო დევნისა და ალკვეთის საგნად. ასეთ პასუხს აძლევს დემოკრატიული და ეკონომიურად უაღრესად განვითარებული ამერიკა სოციალიზმის სხვა და სხვა ფორმას. ეს არის კულტურისა და მაღალი მოქალაქობრიობის პასუხი სოციალიზმის ბარბაროსულ ექსპერიმენტებზე. სადაც ეს კულტურა მაღალია, იქ სოციალიზმის ექსპერიმენტები ვერ ითარეშებს. ამიტომაცაა, რომ სოციალიზმმა თვისი დიქტატურა რუსეთში განამტკიცა და რომ ლენინმა ბნელ აზიისაკენ პირი იბრუნა. გვახსოვდეს რომ სოციალიზმის ლიკვიდაცია დამოკიდებულია საერთო ნივთიერ და სულიერ კულტურის ძლიერებაზე.

# გაფრთხილება?

ამას წინად მკითხველს ჩვენ არსებულ მონოპოლიის წესების უვარგისობაზე მივუთითებდით და ავღნიშნავდით იმ გარემოებას, რომ იგი აჩანაგებს ჩვენში მაღალ კულტურულ წარმოებათ: მეთამბაქოობას, მეაბრეშუმეობის, მეჯოგეობას და სხ. არა მგონია, რომ მთავრობა დარწმუნებული არ იყოს, რომ არსებული წესი სულ მოკლე ხანში ნულამდე დაიყვანს სახალხო მეურნეობის ხსენებულ დარგებს. გუშინწინდელ „საქართველო“-ში დაბეჭდილი იყო ცნობა კონსტანტინეპოლის გაზეთებიდან, „ლე ბოსფორ“ და „პროია“-დან, კიდევ ახალ თვალსაზრისს გვიშლის ჩვენს წინ. უნდა ითქვას, რომ ტონი წერილებისა თავდაჭერილია, მეგობრულად შეზავებული, მაგრამ ისეთი ღონისძიებანია გამონახული ჩვენში არსებულ „მონოპოლიების“ საწინააღმდეგოდ, რომელიც მეგობრობაზე მეტად დაშორებულია. გაზეთი აღნიშნავს რა არსებულ რეკვიზიცია-მონოპოლიას და მის გამანადგურებელ გავლენას, გამოსთქვამს აზრს თავის სურვილის შესახებ უმაღლეს საბჭოს ჩარევისა ჩვენს შინაურ საქმეებში. „პროიაში“ კი პროვოკატორული ცნობაც არი მოყვანილი თითქოს მთავრობას 500 ათასი ფუთი პარკი ჩამოერთვას მწარმოებელთათვის. ეს ცნობა რომ აშკარა დამახინჯებაა სინამდვილისა იქიდან სჩანს, რომ სრულიად საქართველოში ამდენი ნედლი პარკიც არ მოდის არა თუ გამხმარი. შეიძლება ამ ცნობას შეეძლოს უცხოელთა თვალში ჩვენი სახალხო მეურნეობის ძალთა გადამეტება და ამაღლება, მაგრამ იგი ისეთ ადგილს და ისეთი საყვედურების სიაშია მოყვანილი, რომ ჰბადებს ისეთ წარმოდგენას, ვითომ მთავრობა ითვისებდეს მოქალაქეთა აუარებელ სიმდიდრეს. ორივე გაზეთების წერილები იმ მხრივ არი სამწუხარო მოვლენა, რომ მათ შეუძლიათ ჩვენთვის არა სასარგებლო სიტუაციის შექმნა გავლენიან სფეროებში. მაგრამ ამაში ხსენებული გაზეთები კი არ არიან დამნაშავე, არამედ ჩვენი დაუდევრობა. ჩვენში ისეთი ფსიხოლოგია შეიქმნა, რომ ჩვენს მწარმოებელთა ხმას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ და ყოველთვის იჭვით შეჰყურებენ მას. იჭვიანობით აღსავსე სიფრთხილე და უნდობლობა —აი მათდამი მოპყრობის წესი. სულ უბრალო საქმე რომ გქონდეს 3-4 თვე უნდა იწამო მომარაგების სამინისტროში და ბედნიერათ ჩასთვალე შენს თავს, თუ ამის შემდეგაც გარკვეული პასუხი მიიღე ან ჰო, ან არა. ხოლო კომერციაში ყველაზე უფრო მეტი საფასური აქვს დროს. ეს იმ სამინისტროში გაუთვალისწინებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს:

ჩრდილო კავკასიაში მოხალისეთა ლაშქარმა დარუბანდიდან უკან დაიხია. დენიკინელთა მდგომარეობა უნუგეშოა.

ბუქარესტში ტრამვაის მუშებსა და ჯარის შორის შეტაკება მოხდა.

ქ. ბასერა არაბთა ჯარმა აიღო. ოსმალ-არაბთა აჯანყება ძლიერდება. აჯანყებულები ბაღდადის მიმართულებით უტევენ.

პოლონეთში რკინის გზის მიმოსვლა 14 დღით შესწყდა.

იაპონიაში მუშათა მღელვარებაა.

## წერილები:

მეთაური—ამერიკა და სოციალიზმი.

ტ. მ.—გაფრთხილება?

ვასილ წერეთელი—საქართველოს კონსტიტუციის პროექტი.

ამნისტია.

---

ლი რჩება. ამას ემატება მონოპოლიის ის წესები, რომლის უვარგისობაზე ძალიან ხშირად და ძალიან ბევრი ესმის ჩვენს მართველ წრეებს. თუ ეხლა ჩვენ მწარმოებელთა ხმას კიდევ უცხოელთა პრესა მიემატა—ეს ჩვენთვის სრულიად არაა სასიამოვნო, რადგან ჩვენ არ ვიცით რაწყაროდან და რა მიზნებითაა შეკრებილი ის ცნობები — ზოგჯერ ძალიან შემცდარი —მაგრამ ეს გარემოება ჩვენთვის მიუცილებლად გამაფრთხილებელია. მოხერხებული წესი საქმეთა წარმოებისა ისაა, რომ თვ თ მოწინააღმდეგესაც არ მისცე საბუთი შენი მოქმედების დაგმობის წინააღმდეგ. ვიდრე ბოროტი ძალები ვაგლახ ისარგებლებენ ჩვენი, შესაძლოა ზოგჯერ ბუნებრივ, შეცდომებით და მათ ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენებდენ, ვიდრე არსებული წესები მონოპოლიისა გამაჩანაგებელ ზიანს არ მიაყენებს სახალხო მეურნეობის მიჩნეულ დარგებს, მინამ კიდევ დრო წესების შესაცვლელად უკეთეს ღონისძიებათა შემოღებით, როგორც სახელმწიფოსათვის სასარგებლო ისე სახალხო მეურნეობისათვის და საგარეო ვაჭრობისათვის, მისი ბალანსისათვის საჭირო,—მართველი წრეები ვალდებული არიან ყოველ მხრივ ასწონ დასწო-

ნონ საკითხი და შეეცადონ მის სხვაგვარად გადაჭრას. მაგრამ ერთ უმთავრეს გარემოებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. რადგან აქ ჩვენ ეგრე წოდებული „ბურჟუაზიასთან" გვაქვს საქმე, მას კი ეხლა ფრიად უნდობლობით ეკიდებიან, იბადება ისეთი ფსიხიკა, რომ ერთი მხარე მეორეს არ ენდობა, მეორეს პირველისა არაფერი სწამს. ყველა სხვა ნივთიერ პირობათა გარდა უაღრესი მნიშვნელობა აქვს ამ ყოველგვარ წონობას მოკლებულ (Imponderabilia) გარემოებას. საერთო აზრი და რწმენა, რომელიც ფეხგამჯდარია ჩვენს ვაჭარმრეწველთა უუდიდეს წრეში ეს ის არის, რომ მ. ს. არ უნდა რაიმე საქმეები აწარმოოს რომელიმე მწარმოებელმა. რა გინდ მიზეზები გამონახოთ, უმთავრესი ამის მიზეზი ის მოპყრობაა, რომლის საგანია ჩვენს რესპუბლიკაში სწორეთ ჩვენი მწარმოებელი, არა მარტო კერძო ვაჭარი, არამედ კომერციულ კოლექტიური დაწესებულებანიც.

დროა სერიოზული ყურადღებით მოვეპყრათ სასიცოცხლო საკითხებს და უცხოთა თითის ჩვენება, თუნდაც მეგობრული, არ დავისაჭიროოთ.

ტ. მ.

---

# უცხოეთი

## აზერბაიჯანი

**აზერბაიჯანის ნოტა სომხეთისადმი.**

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შემდეგი ნოტა გაუგზავნა:

„მე მივიღე ჩემი მთავრობისაგან ცნობა იმის შესახებ, რომ იანვრის 19-ს, სომხის მთავრობის ჯარებმა [illegible]

ახლა, როდესაც [illegible] ცნობები მოდის, რომ სომხის ჯარები, ასრულებენ რა, როგორც სჩანს, თავიანთი მთავრობის განსაზღვრულ პროგრამას, ხელ-ახლა იწყებენ მაჰმადიანთა სოფლების განადგურებას და მცხოვრებთა მხეცურ ჟლეტას.

სომხის მთავრობის მიერ თავის თავზე აღებული მოვალეობების ამგვარი უცოდინარობა, ართმევს რა ყოველგვარ ღირებულებას უკვე მომხდარ შეთანხმებებს, უკარგავს ჩემს მთავრობას რწმენას, რომ შესაძლებელია შექმნილი საერთიერთოშორისო დამოკიდებულებების მოწესრიგება მშვიდობიანი მოლაპარაკების საშვალებით.

აღვნიშნავ რა ერთხელ კიდევ ხაზგასმით სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის ამგვარ მოქმედებებს, რომელიც ყოვლად დაუშვებელია, გადაჭრით მოვითხოვ დაუყოვნებლივ შეჩერებული იქნას სომხის ჯარების აგრესიული მოქმედებანი, და ვალად ვთვლი გაცნობოთ თქვენ, რომ მშვიდობიან მაჰმადიან მცხოვრებთა წინააღმდეგ საომარ მოქმედების შეუჩერებლობის შემთხვევაში, ჩემი მთავრობა იძულებული იქნება მიმართოს გადამწყვეტ საშუა-

ლებებს მოპყრობით [illegible] ყველა ამისაგან გამომდინარე პასუხისმგებლობას სომხის მთავრობას აკისრებს.

საგარეო საქმეთა მინისტრი ფ. ხ. ხოისკი.

## სომხეთი

**როგორ შეხვდა სომხეთის პარლამენტი [illegible]**

იანვრის 24-ს სომხეთის [illegible]

ოსმალურ სომხეთის მდგომარეობა და ბოლოს სთქვა რომ ვიდრე ოსმალეთის სომხეთის საკითხიც საბოლოოდ არ გადაწყდება—ჩვენ ბრძოლას არ შევწყვეტთ.

**ს. ვრაციანის სიტყვა**

ლ. შანტის მერე ილაპარაკა ს. ვრაციანმა. თავის მოკლე სიტყვაში მან აღნიშნა ის რომ სომხეთის დამოუკიდებლობა აღიარებულია დიდ რევოლიუციის მიერ. რომ არ ყოფილიყო ეს რევოლიუცია ერთის მხრით იქნებოდა ბატონად რუსეთის მონარქიზმი მეორე მხრით საფრანგეთის ჰეგემონია რევოლიუციამ მოგვიპოვა ყველა ერს თავისუფლება.

**მენახორიანის სიტყვა**

ვრაციანის შემდეგ ლაპარაკობს მენახორიანი. „ყოველი ერი მმართავს თავის საკუთარ საქმეებს ისე, როგორც მას სურს. სომხეთის დამოუკიდებლობა და აგრეთვე ამიერ კავკასიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა აღიარებულია ჯერ მხოლოდ იმპერიალისტების მიერ. ევროპის იმპერიალიზმმა კეთილ ინება გადაეწყვიტა არა ოსმალეთის სომხეთის და ლტოლვილთა საკითხები არამედ ფაქტიურად იცნო მხოლოდ ერევნის მთავრობის არსებობა. ამ მხრით ჯერ ჩვენი როლი საერთაშორისო სახელმწიფოთა შორის არ არის ნათლად გამორკვეული და ჩვენ ველით იმ დღეს, როდესაც სომხეთის დემოკრატიის მოთხოვნილებანი სრულიად დაკმაყოფილებული იქნება რუსეთის და მსოფლიო დემოკრატიის მიერ.

**აგაბეკოვის სიტყვა**

მიულოცა რა პარლამენტის წევრთ სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარება აგაბეკოვმა თავის სიტყვაში სთქვა, რომ ეს დღე სომხეთის სასიხარულო და უდიდესი დღეა. მისი დიდი ხნის მისწრაფება განხორციელებულია. სომხეთის მთავრობის მოვალეობაა დღეს მეზობელ რესპუბლიკების შორის დაამყაროს მტკიცე ძმური კავშირი. ამას შემდეგ უეჭველია ამიერკავკასიის სახელმწიფოთა შორის აღარ იქნება შოვინისტური აზრებს ადგილი და ერთად იმუშავებენ თავიანთ სახელმწიფოების აღმშენებლობაში. მისი აზრით საჭიროა ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობის აღიარებაში, რუსეთის დასტურიც და უეჭველია რუსეთის დემოკრატია მალე ამოიღებს ხმას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა სასარგებლოდ.

**რეზოლიუცია**

დაშნაკცაკანელთა ფრაქციის წინადადებით სომხეთის პარლამენტმა მოისმინა მოხსენება სომხეთის დამოუკიდებლობის de facto-ს ცნობის შესახებ და აღნიშნეს ის დიდი ნაბიჯი, რომელიც გადასდგეს მოკავშირეთა სახელმწიფოებმა.

## დაღესტანი

იანვრის 12 ს სოფ. ლევაში შეიკრიბა დაღესტნის თავდაცვითი საბჭო და ნური ფაშა, რომელიც დაღესტანში აზერბაიჯანმა გამოგზავნა აჯანყებულ რაზმების მთავარსარდლად. ამ აქტის გამო განმტკიცებას ეძლევა ამ მხარეში თურქ ოფიცრების ბატონობა. ადმინისტრაცია და საკომენდანტოები ოსმალო ოფიცრების ხელშია, რომელთაც ლეკური ენა არ იციან და საქმეებს არაბულ ენაზე აწარმოებენ.

**ოსმალო ოფიცრების დესპოტიზმი**

სამშობლოდან გამოქცეულმა ოსმალო ოფიცრებმა დაღესტანში წმინდა ოსმალური საფაშოები გამართეს. თურქები იტაცებენ ოქრო-ვერცხლს, ხალიჩებს, ახალგაზრდა ქალებს, აწერენ დიდ გადასახადებს და სხ. გამდიდრების მერე თურქი ოფიცრები გარბიან. ამას წინათ დაატუსაღეს ერთი თურქი ოფიცერი, რომელსაც მიჰქონდა 45 ოქრო, 100 ცალი ნოხი და 25,000 მან ნიკოლოზის ფული.

**ხალხის აღშფოთება თურქების წინააღმდეგ**

დიდ უკმაყოფილებას აცხადებენ თურქ ოფიცრების ბარპაშის წინააღმდეგ, მაგრამ მის მოშორებას ვერ ახერხებენ, რადგან ალი ხაჯი და თავდაცვის საბჭო თურქ ოფიცრებს ხელს აფარებს და აჯანყების ხელმძღვანელობას ანდობს.

**დაღესტანის წარმომადგენლები**

დაღესტანის ხალხი არ სცნობს ბაქო თბილისში ამ ხალხის სახელით მოლაპარაკე ჰაიდაროვს, ცალიკოვ-ჯამაგიევებს, მათ ყველას მოღალატეებს უწოდებენ ადგილობრივ. პოპულიარული პირი, რომელსაც ხალხი ენდობოდეს, ან მორიდებით მიჰყვებოდეს ჯუბჯეროვით, გარდა ალი-ხაჯისა (სულიერი მოძღვრისა) არავინ არ არის.

**ვისკენ არის ხალხის სიმპატიები?**

ხშირად ამ ობენ, რომ დაღესტანის ხალხი რელიგიის გავლენით მაჰმადიანურ ქვეყნისკენ იმზირებაო. ეს აზრი სრული სიყალბეა, დაღესტანში სასტიკად ეჯავრებათ ყოველი მაჰმადიანი (გარდა სუნიტისა) განსაკუთრებით სძაგთ თურქი და აზერბაიჯანელი.

თათარი, ახლო წარსულში რუსულ იმპერიალიზმის პასიური ხალხი იყო, ახლა ხალხი სიხარულით შეჰყურებდა ქართველებს, ყველა სოფელი ციურ მადლსავით ელოდა ქართველებს და ამბობდა ქართველები მოვლენ და გვიხსნიანო, როცა ეს იმედი არ განაღდდა მაშინ რუსი ბოლშევიკები შეიწყნარეს და ფრონტის საქმე სულ ერთიანად რუს ბოლშევიკებს ჩააბარეს.

**ბოლშევიზმი ცოცხლდება.**

ჩრდილო-კავკასიაში ხალხი არ ემხრობა პანთურქისტებს, არც აზერბაიჯანის აგენტებს, ამ შემთხვევაში ხალხი ბოლშევიკებს უფრო რბილად ექცევა, ვინაიდან ეს უკანასკნელნი თურქულ დესპოტიზმს არ იჩენენ აქ.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებიდან გამოძევებული რუსი ბოლშევიკები ამ ჟამად სულ აქ იყრიან თავს.

ამ რიგად დაღესტანს ისევ ეზმანა სიზმარი წითელ ბოლშევიზმის ამოტივტივებისა, დამახასიათებელია მოვლენა, რომ ბოლშევიკები დიდ თანხმობით არიან თურქის ოფიცრებთან, აზერბაიჯანის აგენტებთან (ოფიცრებთან) თუმცა ამავე დროს უკვე ჩვეულებისამებრ სდევნიან ქრისტიან ოფიცრებს.

ბოლშევიკები უკვე შეუდგენ მუშაობას საბჭოების მოსაწყობად.

**წითელ მოსკოვის მიერ გამოგზავნილი 70 მილიონი.**

თურქის ოფიცრებს და ბოლშევიკებს, როგორც მთელი დაღესტანი ლაპარაკობს გერმანელ ოფიცრის ხელით წითელ მოსკოვიდან 70 მილიონი მან. მოუვლია სამუშაოდ.

**საყურადღებო თანხმობა.**

ბოლშევიკები, თურქის ოფიცრები და აზერბაიჯანის აგენტები შეთანხმდენ გაერთიანებულ მუშაობისთვის. ბოლშევიკურ ორგანიზაციის წევრებმა სახალხო ყრილობებზე გამოაცხადეს, რომ დაურღვეველია მეგობრობა ლენინისა, სამაჰმადიანო ქვეყნებისა და გერმანიისა.

**დასკვნის მაგიერ.**

საბრალოა დაღესტნის ხალხი, ვინ არ სჯიჯგნის მის სხეულს, არ აჩანაგებს.

**ნური ფაშას მოწოდება.**

იანვრის 21-ს დაღესტანში ნური-ფაშამ მოწოდება გამოსცა, რომელშიც ძიმავალში დერბენდის აღებ ჯარს სამი დღით ქალაქის საძარცვავად მიცემას ჰპირდება მის სიმდიდრეს და არ უფათურებს ხელს მის სულში.

ყველა ბედის მაძიებელი აქ ბრძანდება, ვინ დაღესტნის შეერთებაზე ოცნებობს, ვინ წითელ ბოლშევიზმზე და ვინ კიდევ მხოლოდ ჯიბის გასქელებაზე. დაღესტნის ხალხს სწყურია თავისუფლება და სიწყნარე, ვისაც ამ ხალხის სიკეთე ჰსურს, უნდა მოაშოროს მას ყველა ზემოდ ჩამოთვლილი გამელელ გამომვლელი ჩარჩ-პოლიტიკოსები.

სოფ. კულარი. ი. დ—ძე.

## რუსეთი

**ლიტვინოვის მოლაპარაკება ო, გრედთან.**

(ბოლშ. ცნობა)

ლიტვინოვსა და ო,გრედთან მოლაპარაკება, რომელიც სასურველ შედეგებს უახლოვდებოდა დააბრკოლა გარეშე ანორმალურ მდგომარეობამ; განსაკუთრებით ხელი შეუშალა მოლაპარაკების საქმეში დანიის მთავრობის ჩარევამ, სადაც განზრახული იყო კონფერენციის მოწყობა.

ლიტვინოვს მოსვენებას არ აძლევდენ მთავრობის აგენტები და იძულებული შეიქმნა სხვაგან გადახიზნულიყო. სახალხო კომისარიატმა ამის შესახებ პროტესტი განუცხადა ბრიტანეთის მთავრობას და სთხოვა ლიტვინოვისათვის სხვა ადგილი მოენახათ.

**ტროცკის სიტყვა მუშათა დეპუტატების ყრილობაზე.**

(ბოლშევიკების რადიო).

25 იანვარს შესდგა სახალხო სამეურნეო საბჭოს მე 3 ყრილობა, მოსკოვის მუშათა დეპუტატებისა და პროფესიონალურ კავშირების გამგეობის შეერთებული სხდომა. რაკოვის შემდეგ, რომელმაც ციფრებით დახატა ჩვენი მეურნეობის მდგომარეობა, გამოვიდა ტროცკი: ჩვენი მტრები, სთქვა მან, შინაური და განსაკუთრებით გარეშე შეეცდებიან ფართეთ გამოიყენონ ის ციფრები, რომელიც გულახდილობით ახასიათებს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას და მუშაობას. ისინი დაიწყებენ ლაპარაკს, რომ საბჭოთა რეჟიმი ანადგურებს მეურნეობას კიდევ მაშ დასავლეთ ევროპაში, გერმანიის მეურნეობა თან და თან ეცემა. ავსტრიის მეურნეობა საბოლოოთ დაეცა. საფრანგეთის ჩრდილოეთის ნაწილი დაშლის და დანაწილების მდგომარეობაშია. ინგლისი სრული გაღატაკების გზაზეა. ბურჟუაზიული მეთვალყურეები ამბობენ, რომ ევროპას შრომის დამბლა დაეცა, რომ საერთო პასივობის ფართე ტალღა მოედო ევროპას. ევროპის ბურჟუაზიული მხარეს არ შეუძლია ამ ტალღის გადალახვა. მან მუშათა კლასის ბევრი ფიზიკური და მორალური ძალა მოახმარა იმპერიალისტურ ომს, მან ძლიერ გააცრუა მუშათა იმედები, რომ მან კიდევ გამონახოს ახალი წყარო მუშათა კლასიდან, ევროპის მუშათა კლასი მხოლოდ მაშინ შესძლებს და თავის არსებაში ნახავს საკმაო შემოქმედებით ენერგიას, როდესაც ევროპის მეურნეობის პასუხისმგებლობა პირდაპირ მას დაეკისრება. ყოველივე ის, რაც მოხდა ევროპაში, ჩვენში უარესად იყო. ჩვენ ჩამოცილებული ვიყავით ჩვენი ნახშირიდან, ნავთიდან და ბამბიდან. ნუ თუ შეიძლება ასეთ პირობებში საბჭოთა რეჟიმის გამტყუნება. ნუ თუ აქ არის ბოროტების დასაწყისი. ფაბრიკა შეიძლება იყოს კაპიტალისტური აქციონური, შეიძლება იყოს განსაზოგადოებრივებული და კიდევ დასრულებული კომუნისტური მეურნეობის ნაწილი. მაგრამ თუ მას წაერთვა სათბობი მასალა, თუ მას ჩამოერთვა დასამუშავებელი მასალა მისი მილიდან კვამლი აღარ ამოვა, მისი ბორბლები აღარ იბრუნებენ. რუსეთის პროლეტარიატი თავის ქვეყნის ბედის და თავისი მეურნეობის პასუხისმგებლობას უკვე გრძნობს.

ამ სიღარიბეში მუშაკების აღზრდა ხდება. ამ პირობებში ყოველი მუშა კაცი და მუშა ქალი მეურნეობის დაფასებას ეჩვევა. თითოეული მუშა კაცი და ქალი იწყებს შეგნებას, თუ რას ნიშნავს თურქესტანი ჩვენი გაერთიანებული ახალი მეურნეობისთვის და რას ნიშნავს დონის ოლქი; ეს გვაძლევს რწმენას, რომ ჩვენ სამეურნეო ცხოვრებას აღვადგენთ. ჩვენ ამას ვიქთ, თუ ჩვენ აღმადგენლობითი მუშაობისაკენ მოუწოდებთ გამოცდილ მუშებს. ჩვენ უნდა ვიყოლიოთ ისინი ანგარიშში და მათ ჩავაბაროთ შრომის წიგნები. სოფლებში ეს საქმე უნდა დაეკისროს პროფესიონალურ კავშირებს, მხოლოდ იქ, სადაც პროფესიონალური კავშირების მეთოდები არ არის საკმარისი, იქ საჭიროა სხვა აპარატი, დამატებითი აპარატი კერძოთ იძულებითი მეთოდი. რადგან შრომის ბეგარა ფიქრობს, რომ სახელმწიფოს აქვს უფლება უთხრას გამოცდილ, მცოდნე მუშას, რომელიც ზის სოფელში, რაღაც საქმეების გამო. (დამახინჯებულია) შენ მოვალე ხარ წახვიდე ხორხოკოში ან კოლომენის ქარხანაში, რადგან შენ იქ საჭირო ხარ. შრომის ბეგარა ნიშნავს, რომ გამოცდილი, მცოდნე მუშები, რომელიც არმიიდან გამოსულან თავისი შრომის წიგნაკით ხელში წავიდნენ იქ, სადაც ისინი აუცილებლები არიან, სადაც აუცილებელია მათი ყოფნა ქვეყნის მეურნეობის აღდგენისათვის. შრომის ბეგარა გულისხმობს სახელმწიფოს უფლებას მუშებზე. სახელმწიფოს შეუძლია უბრძანოს მუშას, გამოვიდეს შინაურ სამრეწველოებიდან, სახელოსნოებიდან და გადავიდეს სახელმწიფოს ცენტრალურ სამრეწველოებში, სადაც ამ კატეგორიის მუშებს დაუხმარებლად მუშაობა არ შეუძლიათ, მაგრამ ეს მუშები ჩვენ უნდა ვასაზრდოვოთ, უზრუნველვყოთ აუცილებელი სურსათით როგორც გუშინ ჩვენ მიზნათ ვისახავდით საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვას, ეხლაც ჩვენ მიზნათ უნდა დავისახოთ ვიშოვოთ, მოვფინოთ საჭირო პური, ხორცი, შაქარი და თევზი. რათა უზრუნველვყოთ მუშათა კლასი. საკითხი სდგას არა მარტო ინდიუსტრიალურ პროლეტარიატზე, ჩვენ წინ სდგას საკითხი მუშათა ნედლი ძალის მოწოდებაზე, იქ ფრონტზე კვალიფიციურ მუშებს არ დავიწყებიათ რაც შეისწავლეს ფაბრიკებში, ქარხნებში. იმათ შეისწავლეს ძნელ პირობებში ათი და ასი ათასი გამოწრთვნილ მასის წინამძღოლობა და მასთან ერთად ბრძოლა.

ეს იქნება სარდლობის შემადგენლობა. არის კიდევ ერთი გზა სახალხო მეურნეობის აღდგენისა. ეს არის არმიის დაახლოვება შრომასთან სამხედრო ნაწილების და მთელი არმიის შრომელ ნაწილებათ გადაქცევა. მრავალმა არმიამ თავისი სამხედრო მიზანი უკვე შეასრულა, მაგრამ მათი დემობილიზაცია ჯერ არ შეიძლება. მაგრამ სანამ ისინი სამხედრო მუშაობისაგან არიან თავისუფლნი ისინი იბრძოლებენ, სიმშილის და სიცივის წინააღმდეგ. ჩვენ ასეთი არმია რამდენიმე უკვე გვყავს, ამ არმიებმა უკვე მიიღეს განსაზღვრული საქმეები. ერთი იშოვის სურსათს მეურნეობისათვის იმ რაიონში სადაც ეს არმია სდგას, მეორე იშოვის შეშას, რომელსაც მიზიდავს რკინის გზასთან დაეხმარება ორთქლმავლების შეკეთებაში—მეორე დაეხმარება რკინის გზით დაჩქარებით გაყვანის საქმეში ნავთის გასატანათ, მესამე—გამოყენებული იქნება სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებლად, გაზაფხულზე კი მიწის დამუშავებისათვის. ამ ჟამად მუშათა მასაში სისწორის აღსრულება და სრული პასუხისმგებლობა მკაცრი ზომებით უნდა გატარდეს თუ მოწინავე მუშები მთელ თავის აზრს, მთელ თავის ნებას, მთელ რევოლიუციონურ მისწრაფებას მოანდომებს მეურნეობის საქმეს, მაშინ მე ეჭვი არა მაქვს, რომ ჩვენ რუსეთს გამოვიყვანთ თავისუფალს ახალ გზაზე მტრის შესარცხვენად და მეგობრების გასახარებლად.

**ბოლშევიკების სამხედრო ცნობა.**

იანვ. 28. რეჟიცის რაიონში მკაცრი ბრძოლა გრძელდება. ოვრუჩის დასავლეთით 15 ვერსზე ბრძოლა ცვალებადია. ელისავეტგრადის რაიონში ნოვომირგოროდის სამხრეთით ბრძოლაში ჩვენ ხელთ ვიგდეთ 1 ჯავშ. მატარ. და სხ. ქონება. წამოვიყვანეთ ტყვეები, ამ რაიონში ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება. ვოზნესენსკის მიმართულებით ჩვენი ნაწილები მდ. გრომოვლაიაზე გამოვიდენ. პერეკოპის და გენიჩესკის რაიონში ბრძოლა ცვალებადია. როსტოვის რაიონში ნახიჩევანის სამხრეთით მკაცრი ბრძოლა იყო, რის შემდეგ მტერი ბატაისკისკენ და ოლგინსკაიასკენ უკუვაგდეთ. მდ. მანიჩზე შესართავის ზემოთ 30-40 ვერსზე დუბენსკოს გმირი ცხენოსნები მდ. მარიჩზე გადავიდენ და ორი დღის ბრძოლის შემდეგ მტერი ეფრემოვის სამხრეთით ძლიერ დაამარცხეს, წამოიყვანეს 5000 ტყვე, ხელში ჩავიგდეთ 4 ზარბაზანი, ტყვიისმფრქვეველები, და სხვა ქონება. ჩვენი ნაწილების შეტევა გრძელდება. აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები გადავიდენ რა მდინარე მანიჩის მარცხენა ნაპირზე, მტერთან მკაცრ ბრძოლას აწარმოებენ. გეორგიევის მიმართულებით, სვიატოი კრესტის აღების დროს ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ მე 12 პლასტუნთა ბატალიონის ორთ ასეული ხელში ჩავიგდეთ მრავალი ქონება. დამატებითი ცნობებით ველიჩავთეს რაიონში ბრძოლის დროს ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 4 ზარბაზანი 170000 ტყვია და სხვა ქონება. ტყვეთ წამოვიყვანეთ ას ოცი ჯარის კაცი და 50 ოფიცერი. კანსკის აღმოსავლეთით 160—170 ვერსზე ჩვენ ავიღეთ სად. კრაზგონნაია. აღმოსავლეთის მხარისკენ შეტევა გრძელდება.

ურალსკი (აღებულია დაქვეითებით). მოხდა ურალსკის ფრონტის ლიკვიდაცია. ტოლსტოვი ალექსანდროვის ფრონტში მიიშის ხოლსტოვის უკანასკნელი დასაყრდნობი პოლკოვნიკ კორსეის პარტიზანული რაზმი 300 კაცისაგან შემდგარი,—ტყვედ წამოვიყვანეთ. ეს იყო უკანასკნელი რაზმი ურალის მე-6 დივიზიისა. ფრონტზე სამხედრო წესები შესწყდა.

## საფრანგეთი

(ს. დ. ს.)

**ვატიკანთან დიპლომატიური მოლაპარაკება.**

მიმდინარე მომენტის საკითხი ითვლება: უნდა დაამყაროს, თუ არა საფრანგეთმა ვატიკანთან დიპლომატიური კავშირი. ამ საკითხში კლემანსოს მიერ გამოჩენილმა ოპოზიციამ გააძლიერა მისი პრეზიდენტობის კანდიდატურის მოწინააღმდეგეთა რიცხვი. ანატოლ ფრანსმა წერილი დასწერა, სადაც ამ საკითხს უარყოფით შეხედა. იტალიამ პაპას საერთო უფლება ჩამოაცილაო— ამბობს იგი, ამიტომ ვატიკანში ელჩის დანიშვნა ნიშნავს პაპის სასულიერო უფლების ოფიციალურად ცნობას და მაშინ არავითარი საფუძველი არ გვექნება არ ვიცნოთ დედა-მიწაზე მყოფ სხვა დიდ სასულიერო პირთა უფლებაც. მაშინ იგი უცქერის მიზეზს არ იცნონ პოზიტივისტები, რომელნიც მეტად მრავალრიცხოვანი არიან, უნდა დავნიშნოთ აგრეთვე ელჩი კაცობრიობის ტაძარში, რომელსაც მრავალი მიმდევარი ყავს რიო-დე-ჟანეიროში. ფრანსი ამბობს რომ ამას შეიძლება მღელვარება მოჰყვეს, მიუხედავათ იმისა, რომ პაპის თავის ლეგატი პარიზში ყავსო. ფრანსი იხსენიებს იმას, რომ ოსმალეთის ელჩმა ერთხელ პროტესტი განაცხადა „კომედი ფრანსეზში" პიესა „მაჰმადის" დადგმის წინააღმდეგ, სადაც მაჰმადი გამოყვანილი იყო ცრუ წინასწარმეტყველად.

ამის შემდეგ პიესა აფიშიდან მოხსნეს. მაგალითი დიდი არ არის, მაგრამ დიდია აქ სიმბოლო. საფრანგეთის გამოყოფა არის მთელი მისი ისტორიული ცხოვრების შედეგი, იგი ლოღიკური დასკვნაა პაპის უფლებასთან მისი ხანგრძლივი ბრძოლისაო.

(ს. დ. ს.)

**საფრანგეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.**

„პტი პარიზიენი" სწერს: საფრანგეთის განაპირებულ ჯარში სამხედრო ბეგრის მოხდის ვადა შემცირებული იქნება, გაზეთის აზრით ეს რეფორმა თანდათანობით უნდა იქნას გატარებული, რათა მეტად ჩქარი ზომების მიღებით უეცრათ არ განვიარაღდეთ. „ფიგარო" ეხება რა შინაურ პოლიტიკას ამბობს: საფრანგეთის წინაშე ორი ამოცანა არის: საზავო ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარება და და ფინანსებისა და ხალხის კეთილდღეობის აღდგენაო.

**ინტერვიუ მილიერანთან.**
(ბაქოს რადიო—სადგ.).

მილიერიანმა „ტაიმსის" კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „საჭიროა, რომ არსებობდეს ჰარმონია ჩვენს შინაგან პოლიტიკაში, ისევე, როგორც მომავალ მშვიდობიანობისათვის საჭიროა დაცვა და განმტკიცება ჩვენი კავშირის. ჩემი მთავრობის პოლიტიკა არ განირჩევა კლემანსოს მთავრობის პოლიტიკის მიერ. ორმა ქვეყანამ დასჭიმა ძარღვები და ამით მოვიგეთ ომი. ერთად მივაღწიეთ ზავს და ეს ზავი რეალური უნდა გავხადოთ. მე მჯერა, რომ თუ გამოვიყენეთ ინგლისის და საფრანგეთის სურვილები, თუ ვიმოქმედეთ მეგობრულად და გულახდილად არავითარი პრობლემა არ დაგვრჩება გადაუჭრელი. ჩემი ღონის ძიებანი შეეწირება არა მარტო მეგობრობის ჩაჰოგდებას, არამედ მის განმტკიცებასაც კი".

# გერმანია.

**ვილჰელმის გასამართლება**
(საქ. დეპ. სააგ.)

(დასაწყისი არ მიგვიღია)... მოქმედების ხაზი შემდეგნაირია: თუ კაიზერი გასცეს, გაასამართლეს და დამნაშავეთ იცნეს—გერმანიის ხალხს შეუძლია სთქვას, რომ კაიზერმა მისი სამხედრო დანაშაული გამოისყიდა და რომ გერმანია ვალდებული არ არის ზარალი გადაიხადოს. ინგლისი და ამერიკა იმდენათ არ ზრუნავენ იმაზე აუნაზღაურებს თუ არა გერმანია მათ ზარალს, მაგრამ საფრანგეთისათვის კი ეს სასიცოცხლო კითხვაა. ანტანტა ალბათ მოითხოვს, რომ ჰოლანდიას გარანტია მისცეს იმისა, რომ კაიზერს შეძლებას არ მისცემენ გაიქცეს გერმანიაში, ან სადმე სხვაგან. ფიქრობენ, ინგლისელები მოითხოვენ იმას, რომ ჰოლანდიის დარაჯები გაძლიერებული იყოს მოკავშირეთა დარაჯებით, რათა ხელი შეუშალონ ჰოგენცოლერნების მიერ ჰოლანდიის დატოვებას. ფრანგები და ინგლისელები მოითხოვენ, რომ ჰოლანდიამ კაიზერი გერმანიიდან უფრო დაშორებულ ადგილას გააგზავნოს, ვიდრე ამერონგენი არის. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ საფრანგეთმა იტალიამ და მით უმეტეს იაპონიამ მომავალში სცადონ ექს კაიზერის მოთხოვა და გასამართლება. ცნობილია, რომ მილიერანი და დეშანელი უარს ამბობენ ამ საქმის გაგრძელებაზე და იტალიის და იაპონიის მთავრობანი კი თავიდანვე წინაალმდეგი იყვნენ კაიზერის სამართალში მიცემისა.

# ახალი ამბები

## მთავრობაში

იანვრის 17-ს სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

**სომხეთის დელეგაციასთან მოსალაპარაკებლად.**

დაინიშნონ სომხეთის დელეგაციასთან მოსალაპარაკებლად მთავრობის წარმომადგენლებლად საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი და სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე.

**მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენების მიღება.**

მიღებულ იქმნას მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენება, სატყეო განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვის მე-14 § 1 მუხლით და მე-24 მუხლით ნავარაუდევ კრედიტების გადიდების შესახებ და წარედგინოს დამფუძნებელ კრებას შესაფერი დეკრეტი.

**სამხედრო წესების მოხსნა და საგენერალ-გუბერნატორის გაუქმება.**

მოხსნილ იქმნას რკინის გზებზედ სამხედრო წესები და გაუქმდეს საგენერალ-გუბერნატორო.

დარჩეს მხოლოდ ორი სწრაფი და ერთი საფოსტო მატარებელთა დამცველი შტატი და დაევალოს გზათა უწყებას; წარუდგინოს მთავრობას შესაფერი ხარჯთ-აღრიცხვა.

**ახალციხე-არტაანის შორის ტელეგრაფის მავთულის გასაყვანად.**

ახალციხე არტაანის შორის ტელეგრაფის მავთულის გასაყვანად საჭირო 326,000 მან. გადადების შესახებ მოხსენება გადაეცეს დასკვნისათვის სახელმწიფო კონტროლიორსა და ფინანსთა მინისტრს.

**დარიალის სანაპირო რაზმის არტილ. მე-2 მწყობრის დროებითი შტატები**

დარიალის სანაპირო რაზმის არტილერიის მე-2 მწყობრის დროებითი შტატები მიღებულ იქმნას და გადაეცეს დასტურისათვის დამფუძნებელ კრებას.

**ბრძოლის ველზე დახოცილ მეომართა დასაკრძალავად**

სამხედრო მინისტრის მოხსენება ბრძოლის ველზე დახოცილ მეომართა დასაკრძალავად 200,000 მანეთის გადადების შესახებ მიღებულ იქმნას და სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას დასტურისათვის.

**საქართ. სამხედრო გზაზე საფარის შესაკეთებლად**

გზათა მინისტრის მოხსენება საქართველოს სამხედრო გზაზე გზის საფარის „მაიორშის" შესაკეთებლად 657,891 მან. და 91 კაპ. გადადების შესახებ, ხარჯთ-აღრიცხვით, მიღებულ იქმნას და სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას დასკვნისათვის.

## შინაგ. საქმ. სამინისტროში

**გორის სამაზრო ერობის შუამდგომლობა**

გორის სამაზრო ერობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა მთავრობამ ნება დართოს მათ 10 მილიონიან საობლიგაციო სესხის გამოშვებისა: ხსენებულმა სესხი მთის აზრით განაღდებულ უნდა იქნას თვით მაზრაში წვრილ ერთეულების დახმარებით. ერობას განზრახული აქვს სესხი შემდეგი საჭიროებათათვის გამოიყენოს.

1) 7 სარწყავი არხის გამოსაყვანათ ლიახვიდან და მტკვრიდან ერობის ვარაუდით ეს არხები მოივლიან 5500 დესეტინა სივრცის სახნავ სათეს მიწას.

მხოლოდ არხების გამორკვევა დაჯდება დაახლოებით 3,085,000 მან.

2) სკოლების მოსაწყობად და ინვენტარის შესაძენად (დაახლოებით 2 მილ. მანეთამდე).

3) გორისა და ატონის სახერხ ქარხნების მოწყობა და ამუშავება (დაახლოებით 2 მილ. მან.)

4) სასურსათო ოპერაციების გაძლიერებლად (6,690,800 მან.) ხსენებულ სესხს გორის ერობა უზრუნველ ჰყოფს საკუთარი ქონებით და მხოლოდ თხოულობს მთავრობისაგან რაიმე იჯარის აღების დროს უფლება მიეცეს მას მთავრობას საობლიგაციო სესხის ბილეთები მისცეს ფულის მაგიერ.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ამ დღეებში შესაფერი მოხსენებით შევა მთავრობაში ხსენებულ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ.

## განათლებ. სამინისტროში

**სასწავლო ხელსაწყოთა ქარხანა.**

ამას წინათ თბილისში ინჟინ. ბოგატინმა გახსნა სასწავლო ხელსაწყოთა ქარხანა (მელევოი ქ. № 24) სადაც ამზადებენ სხ. და სხ. სასწავლო ხელსაწყოთ, როგორიცაა მაგალითად გლობუსები, ადამიანთა ჩონჩხი, და სხვ.

განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა სასწავლებლის უფროსთ, რათა ყოველგვარი სასწავლო ხელსაწყონი ხსენებულ ქარხანას შეუკვეთონ ვინაიდან იგი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ზედამხედველობის ქვეშ მუშაობს და არ შეუძლია ცუდი მასალისაგან დაამზადოს ნივთები.

## სხვა და სხვა ამბები

**თბილისში შემოტანილი საქონელი.**

იანვრის 1-15 დე თბილისში შემოტანიათ ფართალი (ბამბეული)—2957 ფუთი; შაქარი 12,168 ფ. და 38 გირ. სხვა ცნობები შემდეგში.

**მორწმუნეთა საზოგადოების კრება კათალიკოზ-პატრიარქის თავმჯდომარეობით.**

კვირას ქართულ კლუბის სათეატრო დარბაზში მათ უწმინდესობის თავმჯდომარეობით შესდგა მეორე მორიგი კრება მორწმუნეთა საზოგადოების. ხალხი ბლომად დაესწრო. განხილულ იქმნენ ძირითადი დებულებანი და თვით პროექტი დებულებათა. მცირე კამათის შემდეგ თითქმის სრულიად შეუცვლელად იქმნა მიღებული დებულება. საყველა დამსწრეთაგანი ჩაეწერა ახლად დაარსებულ „მართლ-მადიდებელ ეკლესიის დამხმარე, წმ. ნინოს სახელობის, საზოგადოების" წევრად. პრეზიდიუმის არჩევა გადაიდო მომავალ კვირისათვის—1 თებერვლისათვის. კრება იმავე ბინაზე იქნება.

**ლუი ბრანდესი.**

ცნობილი ამერიკელი ფინანსისტი ლუი-ბრანდესი ახლო მომავალში ამიერ-კავკასიაში ჩამოვა. მის ჩამოსვლას კავშირი აქვს ამიერ-კავკასიასა და მცირე აზიაში რკინის გზების გაყვანასთან.

**ოსმალეთის დიდი რაბბინი.**

ახლო მომავალში ბაქოსა და თბილისის ინახულებს ოსმალეთის დიდი რაბბინი, რომელიც ოსმალეთის მთავრობის დავალებით, მეორეთ დაივლის ახლო აღმოსავლეთს, მას განსაკუთრებული მინდობილებანი აქვს ამიერ კავკასიაში.

**სომეხთა ეროვნულმა საბჭომ** დაადგინა: გადაიდოს 10,000 მან. ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ, გ. მ. თუმანოვის ხსოვნის აღსანიშნავად გვირგვინების ნაცვლად. გიორგი თუმანიშვილი გუშინ ხოჯივანქის სასაფლაოზე დაკრძალეს.

## კრებები

**სამეურნეო დარგის სტუდენტთა კრება**

შაბათს იანვრის 31-ს საღ. 7-ს სახელმწ. უნივერს. მე-8 აუდიტ. დანიშნულია სამეურნეო დარგის სტუდენტთა წლიური კრება.

## წ.-კ. საზოგადოებაში.

**ილია ჭავჭავაძის ქვრივის მოვლა-ხსოვის.**

იანვრის 28 წ.-კ.-გ. საზოგადოების ბინაზე შესდგა გამგეობის წევრთა საგანგებო კრება, რომელთაც დაესწრენ განსვენებული ილია ჭავჭავაძის ქვრივის ავადმყოფ ოლღა ჭავჭავაძის მზრუნველნი (აპეკუნი) ქ-ნი ყელიჭაშვილისა, შალიკაშვილისა და ექიმი მიხეილ გედევანიშვილი. კრებამ იქონია ბჭობა ავადმყოფი ქვრივის ოლღა ჭავჭავაძის მოვლა-პატრონობის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ დღევანდელს პირობებში შეუძლებელია იმ მცირე დახმარებით არსებობა, რომელსაც ღებულობს ოლღა ჭავჭავაძისა /ბანკიდან 1200 მან., ბოლო წ.-კ.-გ.-საზ. 300 მან. /დაადგინა გაუდიდოს დახმარება 2000 მანეთამდე. აღიძრას შუამდგომლობა ბანკის წინაშე, რათა ბანკმაც თავის მხრითაც გაუდიდოს დახმარება, მაგრამ ამასთან გამგეობამ საჭიროდ დაინახა გააძლიეროს მეთვალყურეობა ანუ კონტროლი საზოგადოების მხრივ, რათა გადიდებული თანხმა თავის დანიშნულებისამებრ იხარჯებოდეს და ავადმყოფ მანდილოსანს სათანადო მოვლა-პატრონობა არ აკლდებოდეს. ამ მიზნით გამგეობამ მეთვალყურეობა საზოგადოების მხრივ მიანდო საზოგადო მოღვაწეს პეტრე სურგულაძეს.

## სამხატვრო ქრონიკა

**„ტარტ"-ს დრამა.** დღეს არტისტიულ თეატრში „ტარტო-ს დრამა მსახ. ნიროვს უხდის იუბილეს მის სასცენო მოღვაწეობის 20 წლის აღსანიშნავად. იდგმება სუროვინ-კობიდინის პიესა „კრეჩინსკის ქორწინება" რომელშიც იუბილიარი გამოვა რასპლიუევის როლში.

**სახელმწიფო თეატრი-** კვირას დანიშნულია ს. ევლახიშვილის ბენეფისი. იდგმება „კარმენ" პეტროგრადის მუსიკალურ დრამის მსახიობ ქალის დავიდოვის მონაწილეობით.

**ქართველ მწერალთა მეორე ყრილობა.** საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს დადგენილებით თებერვლის 29-ს თბილისში მოწვეულ იქნება სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობა. ყრილობის დღიური წესრიგი და აგრეთვე იმ მწერალთა სია, ვისაც უფლება ექნება დაესწროს ყრილობას—გამოქვეყნებულ იქნება ამ დღეებში.

**მწერალთა სალიტერატურო კრებული.** მწერალთა საბჭოს დადგენილებით თებერვლის ბოლო რიცხვებში გამოცემულ იქნება დიდი სალიტერატურო კრებული, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ყველა ქართველი მწერლები.

## თეატრი

**დ ღ ე ს:**

სახელმწიფო თეატრი—„ჩირევიჩკი". „ტარტო"ს დრამა. „კრეჩინსკის ქორწინება".

## სასამართლო

**ხ ე ლ ა ტ შ ი**

თებერვლის 2-ს დანიშნულია განსახილველად საკასაციო წესით შემდეგი საქმეები:

1. საქმე გიორგი გაბაშვილის ანტონიო რიცცთან დარღვეულ მფლობელობის აღდგენის თაობაზე.

2. საქმე სამსონ და სხვა სანოძეებისა სამედიატორო განჩინების სისრულეში მოყვანის შესახებ.

3. საქმე ბაბილინა და მაკრინე კუპრეიშვილების იუსტინა და ლეონტი ვახან ჭელიძეებთან 665 მან. 66 კაპ. თაობაზე.

4. საქმე ეგნატე გუნიას მაკრინე ოდიშარიასთან 530 მან. თაობაზე.

5. საქმე ივლიტა კობიაშვილის და პელაგია ბერძნიშვილის გიორგი შიშმანაშვილთან მამულის თაობაზე.

6. საქმე გარდაცვალებულ იოსებ პაპუაშვილის ქონებისა და ობლების მოურავის სოფიო პაპუაშვილისა ილია და სხვა ქიტიაშვილებთან მამულის თაობაზე.

4 თებერვალს დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები.

1. საჩივარი ეკატერინე ოდიშარიასულის ჩაჩავასი ქუთაისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებაზე რომლითაც დადასტურებულია ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს 1915 წლის 3/4 აგვისტოს დადგენილება—შესახებ ჩაჩავასულის მამულისა.

2. საჩივარი გიგო, ივანე, მიხეილ და პარმენ აფხაიძეებისა ქუთაისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლის 17/18 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დადასტურებულია ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს 1918 წლის 13 ივლის დადგენილება—შესახებ აფხაიძეების მამულისა „პატარა აბანოს ადგილში".

3. საჩივარი მიწად—მოქმედების სამინისტროს ქუთაისის განყოფილების იურისკონსულტის ნაფიცი ვექილის გიორგი კაპანაძისა ქუთაისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1919 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც შეჩერებულია შორაპნის სამაზრო ერობის მიწის მიმღებ კომისიის განკარგულება აბდუშელიშვილების მამულის შესახებ-სოფელ ბეჟნევში.

## პროვინციის ცხოვრება

**ქ. თელავი**

იანვრის 24-ს ღამით, ყვარლის ჯვარდიელებმა მოჰკლეს ცნობილი ყაჩაღი არჩილ ზეკურიშვილი, რომელიც წარსულ წლის ენკენისთვიდან იყო გაქცეული თელავის საპყრობილედან.

## † გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილი

**1854—1920 წ. წ.**

გუშინ, თბილისში ხოჯივანქის სასაფლაოზე დაკრძალეს 26 იანვარს თბილისში გარდაცვალებული მოღვაწე და მწერალი გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილი, ძმა „ჯეჯილის" რედაქტორის ანასტასია წერეთელი-თუმანიშვილისა.

მამა განსვენებულისა მიხეილ „ბირთველისძე" თავის დროს შესამჩნევი მწერალი და მგოსანი იყო, დაახლოვებული მეგობარი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილისა. თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკარში", გაზ. „კავკაზში" და დახელოვნებული მოხელეობაში, ილვწოდა დიდის საგლეხ-კაცო რეფორმების განსახორციელებისათვის.

ახლად გარდაცვლილ მის შვილს გიორგისაც, აგრეთვე სხვა შვილებსაც, გამოჰყვათ მამისაგან სურვილი მწერლობისა და საზოგადო მოღვაწეობისა, ეს ასეც უნდა ყოფილიყო ის ატმოსფერა, რომელიც გამეფებული იყო მის ოჯახში, ატმოსფერა სალიტერატურო ინტერესებისა, საზოგადო საქმისადმი სიყვარულისა, უნებლიედ ჰმოქმედებდა შვილებზედაც და ისინიც სიყრმითვე ეჩვეოდნენ მწერლობის მსახურებას, საზოგადო მოღვაწეობის სიყვარულს.

განსვენებული გიორგი უკვე უნივერსიტეტს ათავებდა, როცა გარდაიცვალა მისი მამა. მას უკან, თითქო ანდერძი ჰქონდა დატოვებული შვილს მამისაგან, კალამი აღარ გაუგდია ხელიდან და არც მოსვენება მიუცია თავის თავისათვის საზოგადო მსახურებაში. მან ოდესაში დაამთავრა სწავლა 1875 წ. იურიდიულ მეცნიერებათა ხარისხით. ამავე წელს მან დაიწყო სამსახური სამოსამართლო უწყებაში და თანამშრომლობდა გაზ. „დროება"-ში, რომელშიც ჰბეჭდავდა კრიტიკულ წერილებს ბელეტრისტების არდაზიანის, ჭონქაძის და რჩეულიშვილის შესახებ.

სხვათა შორის ქართულად მან სთარგმნა და ცალკე წიგნათ დაბეჭდა „მშვენიერი ელენე" და „ჟორჟ დანდენი".

1879—1880 წ. მან რამდენიმე ალმანახი გამოსცა. მე 70, წლებში პეტრე უმიკაშვილისა, ალექსანდრე სარაჯიშვილისა და ბესარიონ ღლონტი ერისთავთან ერთად შეადგინა ამხანაგობა, რომელსაც მიზნად ჰქონდა ქართველ კლასიკების ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ზაქარია ანტონოვის, ილია ჭავჭავაძის („მეფე ლირის" თარგმანი) თხზულებათა გამოცემა.

როცა მთავრობამ დაუხურა გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე", (15 წლის მუშაობის შემდეგ) მან გამოსცა წიგნაკები კავკასიის უმაღლეს სასწავლებლის დაარსების შესახებ და „დახასიათებანი და მოგონებანი" (3 ნაწილი).

გ. თუმანიშვილი ასევე თანამშრომლობდა სატახტო ქალაქთა ჟურნალებში: „ვესტნიკ ევრ." (1881—85 წ.) „რუსკაია მისლში" (1890 წ.), დიდ გაზეთებში „გოლოს"-ში, „პორიადოკ"-ში, „მოლვა"-ში (1880 წ.); „რუსკია ვედომ." „პრავოში" და სხ.

გიორგის ჰყვარება უფრო ქართული თეატრი და მის აღორძინების საქმეში არა მცირედი ღვაწლი მიუძღვის. პირველ მუდმივ დასის ხელ-მძღვანელი და რეჟისორი ის იყო 1879—80 წ. წ. სეზონში. დიდი მონდომა, გულ-მოდგინება და შრომის მოყვარეობა გამოიჩინა მაშინ განსვენებულმა ამ ჩვენთვის ფრიად დიდსა და სასარგებლო საქმეში. პრაქტიკულ მუშაობას მხარ და მხარ მისდევდა მუშაობა კალმითაც და იბეჭდებოდა მისი ნაწერები პატარ-პატარა წიგნაკებათ ქართულ თეატრის შესახებ. მის კალამს ეკუთვნის წიგნაკი: „როგორ აიდგა ფეხი ქართულმა თეატრმა", „ჩვენის თეატრის საქმე" და სხვ.

ამავე დროს გიორგი თანამშრომლობდა ჟურნალ „ივერიაში" ვანო მაჩაბლის დროს და სისტემატიურად სწერდა ყოველ თვე და თვე მთელის წლის განმავლობაში რუსეთის ცხოვრების მიმოხილვას. არც რუსულ გაზეთებს სტოვებდა უყურადღებოდ და იქაც ათავსებდა სხვა და სხვა თემაზედ დაწერილს წერილებს. ბოლოს ხომ თავისი საკუთარი გაზეთიც დაარსა „Новое обозрѣніе" აქ აგრეთვე თანამშრომლობდნენ: ნ. ნიკოლაძე, გ. ზდანოვიჩი, გ. ლასხიშვილი აკად. თარხნიშვილი, მარრი, ხახანაშვილი და სხ.

თავის შრომის მოყვარეობით, კარგის გონებრივის მომზადებით ურიგოდ არ აწარმოებდა ამ პროგრესიულ გაზეთს თითქმის ათის წლის განმავლობაში. მერე ისიც მაშინ, როცა არც ისე ადვილი იყო კერძო გაზეთის წარმოება თუ ცენზურის სასტიკობის გამო და თუ ნივთიერად ხელ-მოკლეობის მიზეზით. ამ გაზეთში, რასაკვირველია, უფრო კავკასიის შესახებ საზოგადო თემები ირკვეოდა, მაგრამ მცირე ადგილი არ ეთმობოდა საკუთრივ ქართულ ინტერესებსაც. არც განსაკუთრებით სომხური ინტერესები იყო დავიწყებული.

თბილისის სომეხთა საზოგადოებამ მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას და გიორგი ქალაქის ხმოსნად იქმნა არჩეული მაშინ, როცა ქართველებს და ქართულ საქმის მოღვაწეთ აგრე რიგად არ სწყალობდნენ თბილისის სომხების მესვეურნი; მაგრამ გიორგი სარწმუნოებით გრიგორიანი იყო და ალბად ამიტომ კეთილის თვალით შეჰხედეს. ამ გარემოებას უნდა მიეწეროს ისიცა, რომ გიორგი იმ ხანებში არჩეულ იქმნა თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დირექტორად და მას უკან სიკვდილამდე ირჩევდნენ ხოლმე ამ თანამდებობაზედ.

მისი ხმოსნობა უსარგებლო არ იყო თბილისის ინტერესებისათვის და გიორგი ბეჯითად ილვწოდა დედა-ქალაქისათვის. მეტადრე თვალ-საჩინო იყო მისი ღვაწლი უმაღლესი სასწავლებლის დასაარსებლად თბილისში. გულმოდგინედვე მუშაობდა გიორგი ერობის შემოღებისათვის ამიერ-კავკასიაში. ბევრსა სწერდა, როგორც ამ საგნის ისე უნივერსიტეტის დაარსებისათვის რუსულ ჟურნალ-გაზეთებში, სხვათა შორის, „ვესტნიკ ევროპი"-ში.

პოლიტიკურის რწმენით გიორგი ბოლოს კადეტი იყო, კადეტების მთავარ კომიტეტის წევრი. ხშირად იწვევდა თბილისში კადეტების ლიდერებს, ლექციების წასაკითხად. მაგრამ ამავე დროს არ ივიწყებდა ქართულ მწერლობასა და მეტადრე თეატრის ინტერესებს. უფრო ქართული თეატრი იყო მისი საყვარელი საგანი. ისე სათეატრო რამე გამოცემა და საქმე არ დაიწყებოდა, რომ გიორგის რაიმე მონაწილეობა არ მიეღო. თვით უკანასკნელ ჟამსაც, როცა გიორგი უკვე ჯან-გატეხილი იყო, საკმაოდ მოხუცებული და სამოცდა-მეექვსე წელს აღწევდა, თითქმის ლოგინად ჩავარდნილი, სწერს პატარა შენიშვნას „ქართველთ მსახიობთა დღის" გაზეთისათვის. სამწუხაროდ, ეს შენიშვნა ვერ იქმნა მოთავსებული იმ გაზეთში, რადგან ნომერი უკვე გავსებულიყო სხვა და სხვა მასალით.

სხვაგვარი ქართული ინტერესებიც უცხო არ იყო განსვენებულისათვის, მაგრამ არა ისე ცხოველად და ძლიერად სძრავდა მის გულს, როგორც ინტერესები ზოგად საკავკასიო და მეტადრე სასომხეთო.

ყოველ შემთხვევაში, გიორგი იყო განათლებული, მშვიდობიანი, მოღვაწე ინტელიგენტი, მწერალ-პუბლიცისტი.

**გრიგოლ ყიფშიძე.**

## ამნისტია

27 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება დაპატიმრებულთა და [illegible] რის შესამსუბუქებლათ:

1918 წ. 26 მაისს ქართველი ერის მიერ გამოთქმული ნებისყოფა,—საქართველოს დამოუკიდებლობა—12 იანვ. 1920 წელს ცნობილი იქმნა მოკავშირეთაგან და საქართველო სრულუფლებიან წევრათ შევიდა საერთაშორისო ოჯახში. ამ დიადი აქტის აღსანიშნავად, პოლიტიკურ საერთო სისხლის სამართლის და სამხედრო დანაშაულობის ჩამდენთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად დამფუძნებელი კრება ადგენს:

1) ვისაც დღემდე ამა დადგენილების მიღებისა გადაწყვეტილი აქვს სიკვდილით დასჯა, ან ეს სასჯელი ეკუთვნის დღემდე ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის, სიკვდილით დასჯა შეეცვალოს 15 წლის კატორგით.

2) განთავისუფლებულ იქნეს სასამართლოსა და სასჯელისაგან, ვინც პასუხისგებაშია მიცემული სისხლის სამართლის დებულების 100 მუხლით გათვალისწინებულ ბოროტმოქმედებისათვის.

ეს მუხლი არ ვრცელდება იმაზე, ვისაც ბრალად ედება სხვა მძიმე დანაშაულობა, რომლისთვისაც კანონით დადებულია ყველა უფლების აყრა, აგრეთვე წამქეზებლებზე, ხელმძღვანელებზე და მეთაურებზე, იმ დანაშაულობისა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის დებულების მე-100 მუხლით.

3) განთავისუფლებულ იქნეს სასამართლოსა და სასჯელისაგან, ვისაც დღემდე ამა დადგენილების მიღებისა ჩაუდენია დანაშაული, რომლისათვისაც კანონით განსაზღვრულია სასჯელი არა უდიდესი ციხეში, ან სატუსაღოში დამწყვდევისა, თუნდაც ამ სასჯელს თანა სდევდეს უფლებათა აყრა და შეზღუდვა, აგრეთვე ის, ვისაც უფრო მძიმე დანაშაულისათვის მისჯილი აქვს ან მიუსჯიან ასეთსავე სასჯელს.

ეს მუხლი არ ვრცელდება იმაზე, ვისაც სასჯელთა დებულების 77 მუხლის ძალით (კანონთა კრებული, ტ. XV, 1885 წ. გამოცემა) პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ან და შეეცვალოს სატუსაღოში დამწყვდევით, აგრეთვე იმაზე, ვისაც ბრალად ედება პირადი პატივის შელახვა, თვითნებობა, ფიზიკურ ხელშეუხებლობის და ჯანმრთელობის წინააღმდეგი დანაშაული, რომლის საჩივარი მხოლოდ კერძო წესით აღიძვრის.

4) განთავისუფლებულ იქნეს სასამართლოსა და სასჯელისაგან ვისაც 1918 წ. მაისის 26-დე ჩაუდენია დანაშაული, გარდა ისეთისა, რომლისთვისაც კანონით დადებულია კატორგით დასჯა.

5) განთავისუფლებულ იქნეს გასამართლების ყოველი შედეგისაგან ის, ვისზედაც ვრცელდება აქა დადგენილების მე 4 მუხლის ძალა. ამათგან ვისაც მისჯილი ჰქონდა უფლების აყრა ან შეზღუდვა, აგრეთვე მათს შვილებს, დაბადებულთ განაჩენის დადების შემდეგ, დაუბრუნდეთ ყოველი უფლება, რომელიც მათ ეკუთვნოდა გასამართლებამდე.

ამა მუხლის ძალით უფლებები დაუბრუნდეს იმათაც, ვინც უკვე მოიხადეს სასჯელი ამ დადგენილების გამოცემამდე.

6) ვისაც ამა დადგენილების მიღების დღემდე ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის მისჯილი აქვს ან შემდეგში მიესჯება კატორგა, პატიმართა გამასწორებელი განყოფილება უფლებების და უპირატესობის აყრით, სასამართლოს მიერ დადებული სასჯელის ვადა ნახევრად შეუმცირდეს. ხოლო უვადო კატორღა შეეცვალოს 12 წლის კატორღით, კატორღის ვადის შემცირების დროს სათანადოთ უნდა შემცირებულ იქნას გამოსაცდელ ხანის ვადაც.

7) მე 6 მუხლში აღნიშნულ პირთ, პატიმართა გამასწორებელ განყოფილებაში სასჯელის მოხდის შემდეგ, მიეცეთ უფლება ყველგან ცხოვრებისა, გასამართლების ყოველივე შედეგისაგან განთავისუფლებით და უფლების დაბრუნებით ამა დადგენილების მე-5 მუხლის თანახმად, მოქმედება ამა მუხლისა გავრცელებულ იქნეს იმ პირებზედაც, ვინც უკვე მოიხადა გადაწყვეტილი სასჯელი დღემდე ამა დადგენილების მიღებისა.

8) ამა დადგენილების ძალით სასჯელისაგან განთავისუფლება არ ანთავისუფლებს დამნაშავეს ზიანის და ზარალის ანაზღაურებისაგან. პატენტის სავაჭრო და სამრეწველო მოწმობის ღირებულების, ხვედრ აქციზის ან სხვა გადასახადის შემოტანის და სახელმწიფო ხაზინის მიერ გაწეულ სასამართლოს ხარჯების ანაზღაურებისაგან, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნივთების და საგნების

ეროვნული

ჩამორთმევისა ან მათის ღირებულობის გადახდევინებისაგან და ყველა იმის გასწორების ან მოსპობის ვალდებულობისაგან, რაც ჩადენილია კანონის მოთხოვნილების წინააღმდეგ.

9) იმ შემთხვევაში, როცა ვისმე სასჯელი უნდა დაედოს დანაშაულობათა გაერთების და სასჯელთა შეერთების წესის მიხედვით ასეთ მოქმედებათათვის, რომელთაგან ზოგს ეხება ეს დადგენილება, ზოგს კი არა, დადგენილება ესე გავრცელებულ უნდა იქნეს მხოლოდ პირველზე, რის შემდეგ სასჯელის საერთო ვადა განისაზღვრება შეერთების და გაერთების წესების მიხედვით.

10) განთავისუფლებულ იქნას საკატორღო მუშაობისაგან ვინც დასჯილია ან უნდა დაისაჯოს ბოროტმოქმედებისათვის, რომელიც ჩადენილია ამა დადგენილების მიღების დღემდე არა სრულ-წლოვანთაგან 18 წლის შესრულებამდე. ასეთებს კატორღა შეეცვალოს საპყრობილეში დაპატიმრებით და ვადა ვაუნახევრდეს.

11) ვინც გაიქცა იმ ადგილიდან, სადაც დამწყვდეული იყო, ან კატორღიდან, არ დაისჯება გაქცევისათვის, უკე თუ ა. წ. მარტის 12-მდე თავისის ნებით დაბრუნდება დამწყვდევის ადგილას ან გამოცხადდება მთავრობასთან თავის საცხოვრებელ ადგილს, მხოლოდ დაბრუნებულ იქნება იმ მდგომარეობაში, რომელშიაც გაქცევამდე იმყოფებოდა, ჩაერიცხება მისთვის განსაზღვრული სასჯელის ვადის ის ნაწილი, რომელიც უკვე მოხდილი ჰქონდა გაქცევამდე, და ამა დადგენილებით ბოძებული შეღავათიც მიეცემა.

12) მოქმედება ამა დადგენილებისა ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზე, ვისაც წინად ებოძა მდგომარეობის შემსუბუქება იმ პირობით კი, რომ ამა დადგენილებით ბოძებულ შეღავათის განსაზღვრის დროს საფუძვლად უნდა მიღებულ იქნეს სასჯელის ვადა, დანიშნული უკანასკნელად ბოძებულ შეღავათით.

13) ვინც დღემდე ამა დადგენილების მიღებისა მოიხადა სასჯელი, განთავისუფლებულ იქნეს სასჯელთა დებულების $58^1$ და $58^2$ $58^3$ მუხლებში და სისხლის სამართლის წესდების 34 მუხლში აღნიშნულ შედეგებისაგან.

14) განთავისუფლებულ იქნენ დაპატიმრებისაგან, ვისაც სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის აქვს ეს დაპატიმრება და ჯარიმა გადაწყვეტილი ადმინისტრატიული წესით.

15) ამა დადგენილებაში აღნიშნული ზომების განხორციელება მიენდოს სათანადო სასამართლო დაწესებულებათ, უკე თუ განაჩენი ჯერ დადგენილი არ არის ან კანონიერს ძალაში არ არის შესული, ან შესასრულებლად არ არის მიქცეული, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში საპროკურორო ზედამხედველობის, რევოლიუციონურ ტრიბუნალების და სამხედრო საგანგებო სასამართლოების მიერ გარჩეული საქმეები გარჩეულ იქნან ოლქის სასამართლოებში, კუთვნილებისამებრ.

16) ამა დადგენილების განსახორციელებლად გამოწვეული ყველა საეჭვო საკითხები, აგრეთვე შუამდგომლობანი სასჯელისაგან განთავისუფლების და უფლების აღდგენის შესახებ გადაწყვეტილ იქმნას სათანადო სასამართლო დაწესებულებათა მიერ სასამართლო სხდომაზე.

17) ვინც გამოძიებაში, ან სამართალშია მიცემული და ამ დადგენილების ძალით უნდა განთავისუფლებულ იქმნეს სასამართლოსა და სასჯელისაგან, თუ მოისურვებს სასამართლოს წინაშე გამართლებას, შეუძლია ორი კვირის განმავლობაში დღიდან სასამართლო დაწესებულების დადგენილების გამოცხადებისა საქმის წარმოების მოსპობის შესახებ იშუამდგომლოს გამოძიების და სამართლის განახლებისათვის. აგრეთვე ვისაც ამ დადგენილების მიღების დღემდე ჩადენილ საქმისათვის შემდეგში მოუწევს ამა დადგენილების ძალით გამოძიებასა და სამართლისაგან განთავისუფლება და არ მოისურვებს ამით ისარგებლოს, შეუძლიან ამავ ხნის განმავლობაში ითხოვოს თავის საქმის დაბოლოვება მიღებული წესით. უკეთუ ასეთი პირნი გამტყუნებულ იქნებიან, მათზე არ გავრცელდება ეს დადგენილება.

18. ამა დადგენილებით მიღებული არა ვრცელდება იმათზე, ვინც სპეკულიაციისთვის პასუხისგებაშია მიცემული, ან სასჯელი აქვს გადაწყვეტილი (1918 წ. სექტემბრის 17-ის კანონი სპეკულიაციასთან ბრძოლისა მუხ. 1-7 გარდა მე 4 მუხლში აღნიშნულ პირისა.

აგრეთვე იმაზე ვისაც სასჯელი აქვს გადაწყვეტილი ან შემდეგში იქნება გასამართლებული ამა დადგენილების მიღების დღემდე ანგარების მიზნით ჩადენილ თანამდებობის დანაშაულისათვის.

19) განთავისუფლებულ იქნას სამართლისა, სასჯელისა და ყოველი მისი შედეგებისაგან ის პირნი, რომელნიც დღემდე ამა დადგენილების მიღებისა, ჩაუდენიათ დანაშაული, გათვალისწინებული 1919 წლის ივნისის 27-ის „ჯარის ნაწილებიდან გაქცევისა და ნება დაურთველად წასვლისათვის“ და 1919 წლის აგვისტოს 2 ს „სამხედრო ბეგარის აუსრულებლობისა და ამ დანაშაულის დაფარვისა და წაქეზების“ დასჯის დეკრეტებით.

ამ მუხლის ძალა არ ვრცელდება იმ სამხედრო ვალდებულებაზე, რომელნიც ან სულ არ გამოცხადებულან სამხედრო სამსახურის მოსახდელად, ან ნებადაურთველად წასულნი დღემდე ამა დადგენილების მიღებისა, უკეთუ ისინი თავის ნებით არ გამოცხადდებიან სამსახურში ან ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენელთან ამა წლის მარტის 1-მდე.

20) დადგენილება ესე სისრულეში მოყვანილ იქნეს დეპეშით.

# საქართველოს კონსტიტუციის პროექტი

**საქართველო—განუყოფელი სახელმწიფოა (პროექტის 1 მუხლი)**

ფედერაციად უნდა შეიქნეს საქართველო თუ ერთიან რესპუბლიკად?

პასუხი ძნელი არ არი.

შვეიცარია მიტომ წარმოადგენს ფედერაციას, ე. ი. კანტონების კავშირს, რომ თვითეული კანტონი კავშირში შესვლამდის დამოუკიდებელი იყო. (ოცდაოთხი კანტონია; მათ შორის ოთხი—ნახევარ-ნახევარ კანტონს წარმოადგენს).

ასეთივე მდგომარეობა იყო ჩრდილო ამერიკაშიაც, ვიდრე შეერთებული შტატების ფედერაციად გადიქცეოდა (ახლა სულ 49 შტატია).

ხსენებულ ფედერატიულ რესპუბლიკებში მაშასადამე თვითეულ კანტონს ანუ შტატს დამოუკიდებლობის ტრადიცია ჰქონდა.

საქართველოში კი ყოველთვის ან ერთმეფობა ყოფილა ან ერთმეფობისა ე. ი. მთლიანობისაკენ, სწრაფვა.

ამასთანავე საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების შედარება შეუძლებელია.

ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა—ვეებერთელა ქვეყანაა, რომელიც ძალაუნებურად ფედერატიულად უნდა მოეწყოს, ვინაიდან ცენტრალიზაცია ასეთს დიდ სივრცეზე—უკიდურეს ბიუროკრატიზმად შეიქნებოდა და ყოველგვარ წარმატებას შეაფერხებდა.

შვეიცარია, მართალია, პატარა ქვეყანაა, მაგრამ დასახლებულია უმთავრესად გერმანელებით, ფრანგებითა და იტალიელებით.

და, თუ თვითეულის ეროვნული ელემენტის ისტორიას, ეროვნულ შეგნებას, კულტურასა და ეკონომიურ ძალას ყურად ვიღებთ, ადვილად გავიგებთ, რატომ არის შვეიცარიის ფედერატია აუცილებელი.

დასასრულ, საქართველოში ქართველობა გაცილებით მეტი პროცენტული რაოდენობით აღემატება თვითეულ სხვა ერს, ვიდრე, მაგალითად, შვეიცარიაში გერმანელთა რაოდენობა ფრანგთა რაოდენობას.

უეჭველია, ეს უკანასკნელი მომენტიც ყურადღებულ უნდა იქნეს.

მაშასადამე საქართველოში, ამ პატარა რესპუბლიკაში, რომელშიაც ქართველობა მცხოვრებთა 80 პროცენტზედ მეტს შეადგენს, ფედერაცია—მიზანშეუსაბამოა.

დიაღ! საქართველო—ერთიანი რესპუბლიკა უნდა იყოს და საქართველოს სივრცეზე ერთი კანონმდებლობა უნდა წარმოობდეს.

რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობის კულტურულ-ეროვნულ უფლებათ, ეს საკონსტიტუციო საკითხი არ არის და სათანადო კანონი იმგვარადვე უნდა იქნეს შეტანილი კანონთა კრებულში, როგორც თვითეული სხვა არა საკონსტიტუციო კანონი.

მაგრამ არის ერთი მხარე, რომელიც საქართველოსაგან განსხვავდება სარწმუნოებრივად—სამაჰმადიანო საქართველო. მას უნდა მიეცეს ადმინისტრატიული ავტონომია. დეე, თავისი ადგილობრივი საქმეები თვითონვე განაგოს.

დასასრულ, მეორე მხარე—აფხაზეთიც—განსხვავდება საქართველოსაგან ერთის თავისი ნაწილით ეთნიურად და სარწმუნოებრივად. რასაკვირველია, მასაც ასეთივე ადმინისტრატიული ავტონომია უნდა ჰქონდეს.

სამწუხაროდ, აფხაზეთის დღევანდელს ეროვნულ საბჭოს, რომლის წევრთა უმეტესობა რაცლა ბედად უცხო ელემენტებისაგან შედგება, ავტონომია წარმოუდგენია, როგორც სრული დამოუკიდებლობა, და აფხაზეთსა და საქართველოს შორის გაუვალი ეკონომიური კედელი აღუმართავს.

აფხაზეთიდან საქართველოში სიმინდი არ შემოუშვა, მაშინ როდესაც ეს სანოვაგე კონტრაბანდით ოსმალეთში გადის და საქართველო შიმშილის კარზეა!

საქართველოს ტერიტორიის ფარგალში ასეთი ეკონომიურად დამოუკიდებელი ნაწილი შეუწყნარებელია.

დიაღ! საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი საზღვარი უნდა იყოს—ამ ტერიტორიის კიდეებზე, პერიფერიაზე,—ტერიტორიის შიგნით კი საბაჟოები და ხელოვნურად აღმართული ზღუდეები—უნდა მოიშალოს.

თვინიერ ამ პირობისა საქართველოს დამოუკიდებლობა უზრუნველ-ყოფილი არ იქნება.

**სახალხო ინიციატივა და რეფერენდუმი.**

სამი მაზრის, ერობის ან 20,000 ამომრჩევლის ხელმოწერილ მოთხოვნით პარლამენტი მოვალეა კანონპროექტი საბოლოოდ განხილვის შემდეგ ხალხის წინაშე დასვას (პროექტის 20 მუხ.).

მაშასადამე ხალხს ექნება საშუალება თავისი სიტყვა სთქვას, მოიწონოს თუ დაიწუნოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონ-პროექტი.

ინიციატივა და რეფერენდუმი (ხალხის დაკითხვა) ზედ-მეტად ქმნიან სენატს.

შვეიცარიაში, სადაც ინიციატივისა და რეფერენდუმის წესია, ორი საკანონმდებლო პალატაა და თვითეული კანტონი ზედა პალატაში ორ წევრს ირჩევს.

აგრეთვე ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში თვითეული შემადგენელი ნაწილი მეორე პალატაში წარმომადგენელთა თანასწორ რაოდენობას აგზავნის, სულ ერთია, დიდია თუ არა მისი ტერიტორია (ჩრდილო ამერიკის ზოგიერთი შტატი საფრანგეთისოდენია) და მრავალრიცხოვანია თუ არა მოსახლეობა (ნიუიორკის შტატში 7 მილიონი მცხოვრებია, ზოგიერთს შტატში კი რამდენიმე ასი ათასი).

მაშასადამე ხსენებულ რესპუბლიკებში მეორე პალატის დანიშნულება უმთავრესად შემადგენელი ნაწილების (კანტონების, შტატების) უფლებათა დაცვაა.

ერთიანის, არაფედერატიული საქართველოსთვის კი სენატი, როგორც საკანონმდებლო დაწესებულება, საჭირო არ იქნება.

მეორე მხრით, საფრანგეთში, რომელიც ერთიან რესპუბლიკას წარმოადგენს, სენატი არის. (სადეპარტამენტო და სამუნიციპალო თვითმმართველობათა წარმომადგენლებისაგან შესდგება).

მაგრამ მისი უმთავრესი დანიშნულება—ქვედა პალატის მიერ გადადგმული აჩქარებული საკანონმდებლო ნაბიჯის შეჩერებაა.

მაგრამ იქ, სადაც სახალხო ინიციატივა და რეფერენდუმია, სენატს ამ მხრით ყოველივე მნიშვნელობა ეკარგება.

მაშასადამე ან სენატი უნდა იყოს, ან სახალხო ინიციატივა და რეფერენდუმი.

და საქართველოში, ამ პატარა რესპუბლიკაში უპირატესობა, უეჭველია, უფრო დემოკრატიულ წესს—სახალხო ინიციატივასა და რეფერენდუმს უნდა ჰქონდეს.

სამწუხაროდ, ჩვენი სოციალ-დემოკრატია დღეს ავტოკრატიულად კანონმდებლობს: თუმცა ფიცულობს, ხალხის უკითხავად არაფერს ვაკეთებო, მაგრამ ჯერ არცერთი კანონის შესახებ ხალხისთვის არა უკითხავს რა.

**აღმასრულებელი ხელისუფლება**

პროექტის მიხედვით:

1) უმაღლესი მმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთნის მთავრობას;

2) მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც იმავე დროს არის რესპუბლიკის წარმომადგენელი;

3) მთავრობის თავმჯდომარეს აირჩევს პარლამენტი;

4) მთავრობის დანარჩენ წევრებს—მინისტრებს—იწვევს მთავრობის თავმჯდომარე; მინისტრად შეიძლება იქნეს მიწვეული არა დეპუტატიც.

5) მთავრობა კოლექტიურად პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისთვის და თვითეულ წევრი პირადად თავისი მოქმედებისთვის.

აქ შერეულია შვეიცარიული და ამერიკული სისტემები.

შვეიცარიაში პრეზიდენტად ითვლება მთავრობის თავმჯდომარე.

იმავე დროს მთავრობის წევრები პრეზიდენტებად მორიგეობით არიან.

საფრანგეთში პრეზიდენტი პალატათა შეერთებული კრების მიერ არის არჩეული და დიდი უფლებით აღჭურვილია.

ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, რომელსაც ხალხი პირდაპირი ხმისმიცემით ირჩევს, კიდევ მეტი უფლებით არის აღჭურვილი.

ვფიქრობ, სჯობს, საქართველოს პრეზიდენტი ხალხის მიერ იქნეს არჩეული. დეე, ხალხს ჰყავდეს წარმომადგენლად ის, ვისაც ენდობა. დეე, ამ მეტად პასუხსაგებ საქმეში ხალხმა თავისი სიტყვა პირდაპირ სთქვას, თავისი ნება პირდაპირი ხმის მიცემით განახორციელოს. დეე, პარტიები ამ საქმეში მაინც ნუ გადაეღობებიან წინ. დაუთმონ ხალხს, რომელსაც პიროვნება უფრო სწამს, ვიდრე პარტიული დოგმები.

მაგრამ რა უფლება უნდა ჰქონდეს პრეზიდენტს? ვფიქრობ, რომ პრეზიდენტმა უნდა განაგოს რესპუბლიკა მინისტრების საშუალებით. მინისტრები კი პასუხისმგებელი უნდა იყვნენ პარლამენტის წინაშე.

ასეთი წესია საფრანგეთში.

ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში მინისტრები პრეზიდენტის წინაშე არიან პასუხის მგებელი და არა პარლამენტის წინაშე.

ეს წესი კი საკმაოდ დემოკრატიული არ არის.

რაც შეეხება კანონპროექტის მიხედვით არჩეულს მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც პარლამენტში გაბატონებული ფრაქციის წარმომადგენელი იქნება, და მის მინისტრებს, ეს —პარტიული ორგანო უფრო იქნება, ვიდრე სახალხო, დემოკრატიული, ეროვნული.

ვახ[illegible]ლ წერეთელი.

# თბილისის ებრაელთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობა ქალაქის გამგეობაში

გაზ. „საქართ. რესპუბლ.“ ამა წლის იანვრის 24-ის ნომერში მოთავსებულია შემდეგი ცნობა: „ებრაელთა ეროვნულ საბჭომ და მაჰმადიან მოვაჭრეებმა ქალაქის გამგეობას შუამდგომლობით მიმართეს, რომლითაც მოითხოვენ, ნება მიეცეთ მათ კვირა დღით ვაჭრობისა, რადგანაც მათ უხდებათ კვირაში ორი დღის უქმობა: ერთი თავის ეროვნულ დღესასწაულის დღის, ხოლო კვირა კი როგორც საერთო სავალდებულო. ქალაქის გამგეობა თანახმაა მათი თხოვნისა და საჭიროდ სცნობს, არ დაევალოს მათ კვირადღეებში სავაჭროების დაკეტვა. ეს თხოვნა გამგეობის ასეთი დასკვნით გადაეცემა ქალაქის საბჭოს განსახილველად და დასადასტურებლად“.

ჩვენ არას ვიტყვით მაჰმადიან-ვაჭართა შუამდგომლობის შესახებ, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით თბილელ ებრაელთა ეროვნულ საბჭოს დიდს მადასა და ერთობ გაზვიადებულ პრეტენზიებს. საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ დაავალა ამ ეროვნულ საბჭოს ასეთი შუამდგომლობით ქალაქის გამგეობის წინაშე წარდგომა და რას წარმოადგენს თვით ეს ეროვნული საბჭო, რომელიც „პარლამენტობას“ თამაშობს და ერთობ დიდ მიზნებს ისახავს საქართველოში? ვის ეყრდნობა ის, ვინ ამოირჩია, ვინ უცხადებს მას ნდობას და ვისთვის იღვწის იგი? ქართველ ისრაელებს ამ ეროვნულ საბჭოსთან არაფერი საერთო არა აქვთ. ებრძვიან კიდეც მის არსებობას და თვისი ყოველი ნაბიჯის გადადგმისას, შესაძლებელი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, აღნიშნავენ, რომ მათ ამ ეროვნულ საბჭოსთან იმდენივე საერთო აქვთ რამდენიც, ვსთქვათ, ესტონელთა ეროვნულ საბჭოსთან. ამისდა მიუხედავად, თბილელ ებრაელთა ეროვნული საბჭო არ უშვებს შემთხვევას, რომ ქართველ ისრაელთა ზურგს არ ამოეფაროს და მათი სახელით ისეთი ყოველგვარ პოლიტიკურსა და მორალურ სიფაქიზეს მოკლებული შუამდგომლობანი არ აღძრას, როგორზედაც ამ შემთხვევაში გვაქვს მსჯელობა. თორემ, კარგად უნდა იცოდეს უჯარო ლიბერალთაგან შემდგარ ინსტიტუტმა, რომ რუსეთის ებრაელები, შეიძლება ითქვას, გამოუკლებლივ ვაჭრობენ შაბათ დღესაც და დანარჩენ ებრაულ უქმე დღეებშიც და საინტერესოა ვიცოდეთ, აღინიშნა თუ არა ეს გარემოება თვის შუამდგომლობითი ბარათში ქალაქის გამგეობის მიმართ ებრაელთა ეროვნულ საბჭომ. თუ აღინიშნა, მაშინ თბილისის ქალაქის გამგეობას როგორც ქართველ ისრაელთა ვინაობა რაობისა და მათი წარსული და ცხოველი მისწრაფებების ზედმიწევნით მცოდნეს, კარგად უნდა სცოდნოდა ისიც, რომ ქართველი ისრაელები სიახლოვესაც არ იკარებენ მეტიჩარა თბილელ ეროვნულ საბჭოს და არც მიუნდვიათ მისთვის ესა თუ ის სარწმუნოებრივი და პოლიტიკური ხასიათის კითხვების განხილვა და შუამდგომლობის აღძვრა. ხოლო, თუ ქალაქის გამგეობამ არ იცის, რომ რუსეთელი ებრაელები შაბათ დღესაც ისე ვაჭრობენ, როგორც ყველ დანარჩენ დღეებში, მაშინ მეტი არ იქნებოდა, კეთილინებებია და დაევალებია გამგეობის რომელიმე წევრისათვის მიმოევლო ერთ შაბათ დღეს თბილისის მაღაზიები და დარწმუნებულიყო, რომ რუსეთელი ებრაელები შაბათ დღეს ვაჭრობას ცოდვად არა სთვლიან. ჩვენ არ უარვყოფთ იმ შესაძლებლობას, რომ ქალაქის გამგეობამ ეს არ იცოდა და ისე გამოიტანა აღნიშნული დადგენილება საბჭოს პლენუმისათვის დასამტკიცებლად. მაგრამ, თუ კი თბილისის ებრაელთა ეროვნული საბჭო ისეთ თვით დამცირებამდე მიდის, და თავის ამომრჩევლებსაც ისეთ ნაირად ამცირებს, რომ არ მწუთხობს ქალაქ თბილისის საკანონმდებლო დაწესებულების შეცდომაში შეყვანას,—რაც ცხადია არ არის უნებლიე აქტი, არამედ წინასწარ განზრახული და გათვალისწინებული საქციელია,—მაშინ ჩვენ არ შევასრულებდით ჩვენს ზნეობრივსა და მოქალაქეობრივ მოვალეობას, რომ ქალაქის გამგეობისა და საბჭოსათვის არ მიგვითითებია ასეთ არა ეთიკურ და ზნეობრივ ელემენტებს მოკლებულ საქციელზე თბილისელ ებრაელთა ეროვნულ საბჭოს მხრით.

რაღ უნდა იქნეს ისეთი უსამართლობა, რომ ვაჭართა ერთმა ჯგუფმა კვირაში შვიდი დღე ივაჭროს, ხოლო დანარჩენმა მხოლოდ ექვსი დღე? თუ თბ. ებრაელთა ეროვნული საბჭო ჰფიქრობს, რომ ამით ქართველ ისრაელთა გულს მოინადირებს, უნდა მოვახსენოთ, რომ მართალია, შესაძლოა თბილისის ქართველმა ისრაელებმა არა სთქვან უარი კვირა დღის ვაჭრობაზე, მაგრამ ისინი წინააღმდეგნი არიან ასეთ ზომებისა, რადგან ასეთის ზომით შელახული იქნება საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესი.

ამ გარემოებაზე ჩვენ მივაქცევთ დედა-ქალაქის გამგეობისა და საბჭოს ყურადღებას და ვიმედოვნებთ, რომ თუ გამგეობა შეცდომაში იქნა შეყვანილი თბილისელ ებრაელთა ეროვნულ საბჭოს მიერ, რომელშიაც აქვე უნდა აღვნიშნოთ, მხოლოდ ერთი ქართველი ისრაელია წევრად, ისიც შეცდომით და თვისი განუვითარებლობის გამო ეტიკეტისათვის შეყვანილი იგივე გამგეობა გაასწოროებს თავის შეცდომას და საბჭოშიც უარყოფითი პასუხი მიეცემა „საქართველოში საგასტროლოდ ჩამობრძანებულსა და ებრაელთა ეროვნულ საბჭოში მოკალათებულ ვაჟბატონებს.

ი. ხანანაშვილი.

# გარეშე ცნობა.

**ღია წერილი**

**ბ. ბ. ძმ. ნარსიებს ქ. ქუთაისში.**

ხუთი თვის წინად თქვენს ძმას ბათომში დაეცნენ ავაზაკები და მოჰკლეს. ეჭვით შეპყრობილ პირთა შორის მოჰყვა სრულიად უდანაშაულოთ ჩემი შვილი ილია. რადგან ჩემი შვილის უდანაშაულობაში მე დარწმუნებული ვიყავი, ამიტომ მაშინვე მოგმართეთ თქვენ და გთხოვეთ დახმარება—ვეცადოთ აღმოვაჩინოთ ნამდვილი მკვლელები თქვენი ძმისა. ისიც კი გთხოვეთ, რომ თუ ვინიცობაა ჩემი შვილი დამნაშავე აღმოჩნდეს, დამეხმარეთ, რომ სიკვდილით არ დაისაჯოს, რადგანაც მისი სიკვდილი თქვენს ძმას ვერ გააცოცხლებს. მგონია, არ მატყუებდით და დამეთანხმეთ მივიღოთ ყველა ღონის ძიება აღმოვაჩინოთ ნამდვილი დამნაშავე თქვენი ძმის მკვლელისა. თქვენ იმაშიც დამეთანხმეთ, რომ ჩემი შვილი ცემში იყო თავის ავადმყოფ ძმებთან და იქიდან ჩასულიყო დილის მატარებლით ბათომში, სწორედ იმ დღეს, რა დღესაც მოჰკლეს თქვენი ძმა. სასამართლომ და საიდუმლო პოლიციამ აღმოაჩინა და დაამოწმა ის გარემოება, რომ ჩემი შვილი ილია სწორედ იმ დღეს ჩასულა ბათომში ცემიდან, თეთრი საზაფხულო ტანთსაცმელი და ფეხსაცმელი ეცვა.

როდესაც ჩვენ ამ საქმეზე ვმსჯელობდით, თურმე იმ დროს თქვენი ძმის მკვლელობის საქმე ინგლისის სასამართლოს უკვე გათავებული ჰქონდა, მაგრამ ოფისი განაჩენი არ გამოაცხადა და ვერც მე ვერას გზით ვერ გავიგე. მაშინ მე მივმართე ერთ ღონის ძიებას. წაველი თბილისში და ინგლისის სარდლობის უფროს გენერალ კორის მივმართე შემდეგის თხოვნით: ამ დღეებში ბათომში გაირჩა ნარსიას მკვლელობის საქმე, ბრალდებულთა შორის ურევია ჩემი შვილი. მე უდანაშაულოდ მიმაჩნია, მაგრამ ვინ იცის, როგორ წავა საქმე სასამართლოში. გემუდარები, რომ თუ შეცდომით ჩემი შვილი დამნაშავედ იქმნა ცნობილი, ეს წყალობა მაინც მოიღეთ, აცდინეთ ახალგაზრდა გმირს (ომის დროს ბევრჯერ ისახელა თავი) სიკვდილით სასჯელი მან ქეთ მისი სიცოცხლე. ეს თხოვნა ისეთ დროს და იმ პირობებში იყო აღძრული, რომ გენერალმა კორიმ აღმითქვა ჩემი თხოვნის ასრულება. გავიდა ხანი და ეს საქმე ისევ გაარჩია ინგლისის სასამართლომ. ხუთნივე ბრალდებული დამნაშავედ სცნო და ყველას ერთ გვარი სასჯელი მიუსაჯა. ბათომის ციხის უფროსმა ხუთივე ბრალდებული (ყველანი ქართველები) მოათავსა ერთს „სეკრეტში“ მათ საშუალება მიეცათ ერთმანეთთან ლაპარაკისა და ამ ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ თქვენი ძმის მკვლელობის მომწყობი ყოფილა ქუთათური მოვაჭრე [illegible] სხვა ავაზაკები სჩანს, რომ ეს მართალი იყო, რადგანაც ინგლისის სასამართლოს პროკურორმა სასტიკი ზომები მიიღო. ვაჭარი ფიჩხაძე დაიჭირეს და ბათომის ციხეში ჩასვეს, სხვა დამნაშავეთა შესახებ შესაფერი ზომები მიიღეს. რაღაცა სასწაულმოქმედებით ფიჩხაძე თავდებით თუ ფულის წყალობით ციხიდან გაანთავისუფლეს. მას შემდეგ ერთი კვირა არ გასულა და ჩემი შვილი ციხეში უღვთოდ აწამეს და სიცოცხლეს გამოასალმეს.

მე ჩემი ახალგაზრდობა ქვეყნის კეთილდღეობას შევსწირე. გავზარდე სამი ვაჟიშვილი და სამივე სამშობლოს ვანაცვალე. სამთავენი იბრძოდენ ომის დროს, სამხრეთის, დასავლეთის და ბათუმის ასპარეზზე, თავი ისახელეს გმირული ბრძოლით. ორი მათგანი დაჭრილი, დასახიჩრებულია და მესამე აწამეს და მოჰკლეს. მე დამტოვა უმწეოდ და უნუგეშოდ. ყოველივე ამას დაწვრილებით იმიტომ მოგახსენებ, რომ სინიდისის ქვეშ და გულწრფელათ მიპასუხოთ შემდეგ კითხვებზე:

1) ნუ თუ თქვენ თქვენი ძმის დამკარგველი, კმაყოფილი ხართ, რომ ყოველივე ეს ასე მოხდა და მე დავკარგე ჩემი შვილი უდანაშაულო, როგორც თქვენ თქვენი ძმა დაჰკარგეთ.

2) და თუ არა ხართ კმაყოფილი, რა ზომებს იღებთ რათა გამოაშკარავდეს ჩემი შვილის უდანაშაულობა და აგრეთვე ის, რა ინტერესი ჰქონდათ რომ ჩემი შვილი ასე აწამეს?

3) რადგანაც თქვენ მოგეხსენებათ, რომ გამოჩნდა კვალი ნამდვილი დამნაშავეთა თქვენი ძმის მკვლელობაში პირადად თქვენ იღებთ თუ არა საჭირო ღონისძიებას დამნაშავეთა სამართალში მიცემისათვის, თუ კმაყოფილი ხართ იმით რომ ჩემი შვილი უდანაშაულოდ დაიღუპა?. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ არა ხართ კმაყოფილი ჩემი შვილის უსამართლო წამებითა და გთხოვთ პასუხი მომცეთ ჩემს კითხვებზე პრესის საშუალებით.

ალფეზ მიქელაიშვილი.

რედაქტორი: „სარედაქციო კოლეგია“
გამომცემელი: თბ. გაჭ.-მრ. კომიტეტი.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
ყალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბილისის სამხედრო სკოლისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ. მდე ოლღას ქ. 3. ტელეფონის № 17—21.

იყიდება სამოსახლო ადგილი ხაზურთალოზე—მისამართი: პირველი თუმანოვის ქუჩა № 8. ილიკო საკანდელიძეს.

სტამბა „ცხოვრება“ ძალან კალანდაძისა, გაბაშვილის შესახვევი №4.